გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№71 (1097) 26 - 28 ივნისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ვახტანგ გომელაური: „მაქსიმალურად გავაგრძელებთ და გავამკაცრებთ კონტროლს საზღვრებზე"



გვ. 2

# ექსკლუზიური ინტერვიუ ციხიდან



გვ. 3

## ბაჩო ახალაია

ბიძინა ივანიშვილზე

მიხეილ სააკაშვილზე

ვანო მერაბიშვილზე

ირაკლი ალასანიაზე

თინა ხიდაშელზე

პოლიტიკაში დაბრუნებაზე



## „დამცავი კაშხალი მხოლოდ ვერეზე კი არა, მდინარე გლდანულაზეც უნდა აშენდეს"

რამდენად აუცილებელი განგაშისა და წინასწარი შეტყობინებების სისტემების დამონტაჟება ქვეყნის მასშტაბით, არის თუ არა საშიში ხუდონჰესი და რა ცვლილებები შევიდა ხუდონის პროექტის მემორანდუმში

გვ. 5



გვ. 8

რა არის პოსტტრავმული სტრესის დარღვევები და სჭირდებათ თუ არა სტიქიის შემდეგ თბილისელებს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსი

## ემიგრანტები „ყოველთა ქართველთა კონგრესის" ჩატარებას მიესალმებიან

რას გულისხმობს და შეძლებს თუ არა უცხოეთში მყოფი ქართველების გაერთიანებას პატრიარქის ახალი ინიციატივა



გვ. 7

## რუსულ-უკრაინული სამართალი საქართველოში

„ქურდულ სამყაროსთან" კავშირის გამო დაპატიმრებული 50 ათასი დოლარის სანაცვლოდ შეიწყალეს

პატიმრის დღიური



გვ. 6

# ვახტანგ გომელაური: „მაქსიმალურად გავაგრძელებთ და გავამკაცრებთ კონტროლს საზღვრებზე“



შს მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა „ისლამური სახელმწიფოს“ შესახებ კომენტარი გააკეთა: **„მომხდარს „გამოწვევას“ ნაკლებად დავარქმევდი, ეს ცოტა გადამეტებული შეფასებაა. რა თქმა უნდა, ეს არ არის კარგი ჩვენთვის და კავკასიისთვის. ეს ადამიანები იყვნენ ყოველთვის გამიჯნულები და არ ეთანხმებოდნენ ამ ისლამურ სახელმწიფოს, აქედან გამომდინარე, ჩვენ რა თქმა უნდა, უფრო მეტად ჩავერთვებით, ჩვენ ვმუშაობდით როგორც „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართულებით, ასევე „იმარატ კავკასიის“ მიმართულებით და ამ საქმეს გავაგრძელებთ, უფრო გავამკაცრებთ კონტროლს საზღვრებზე. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ერთ-ერთი ყველაზე კარგად დაცული საზღვარი თუ არის, ერთ-ერთი თურქეთის მიმართულებაა“.**

„ისლამურმა სახელმწიფომ“ კავკასიაში საკუთარი პროვინციის დაარსების შესახებ გამოაცხადა. ტერორისტული დაჯგუფება საქმიანობას რუსეთის ტერიტორიაზე იწყებს. მმართველად კი დაჯგუფების პრესმდივანი აბუ მუჰამედ ალ ქადარი აირჩიეს.

*„ვერსიანიუსი“*

# შსს-მ აშშ-ს მიერ ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი პირის ექსტრადიცია განახორციელა



შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2015 წლის 23 იანვარს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 2011 წლის 13 სექტემბრიდან ინტერპოლის წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე ძებნილი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, 1979 წელს დაბადებული ალირეზა ალ საზეგარი დააკავეს. ინტერპოლის ინფორმაციით, ალირეზა ალ საზეგარი ხასიათდებოდა სახიფათო და ძალადობისკენ მიდრეკილ პირად. ის ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის შტატის უმაღლესი სასამართლოს მიერ გაცემული დაპატიმრების ორდერის საფუძველზე იძებნებოდა.

ალირეზა ალ საზეგარს ბრალად ედება ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის 273.5(ა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გულისხმობს ოჯახის წევრის ცემას, რომელმაც გამოიწვია სხეულის დაზიანება, გატაცებას, დამამძიმებელ გარემოებებში თავდასხმას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას იძულებით და/ან მოტყუებით, მოწმისათვის დანაშაულის გამჟღავნების ხელის აღებას.

ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი პირის იდენტიფიცირების შემდეგ, საქართველოს მთავარი პროკურატურა აშშ-ს საელჩოს იურიდიულ მრჩეველს, გამოძიების ფედერალურ და დიპლომატიური უსაფრთხოების ბიუროებს დაუკავშირდა, რათა დაედასტურებინა იყო თუ არა ძალაში დაპატიმრების ორდერი და საჭირო იყო თუ არა პირის აშშ-ში ექსტრადირება.

ამერიკის საელჩომ საქართველოს პროკურატურას შეატყობინა, რომ დაპატიმრების ორდერი კვლავაც ძალაში იყო. ამის შემდეგ, შსს-ს თანამშრომლებმა ალირეზა ალ საზეგარი წინასაექსტრადიციო საპატიმროში გადაიყვანეს.

2015 წლის 23 იანვრიდან 3 მაისამდე გამოძიების ფედერალური ბიურო ალირეზა ალ საზეგარის აშშ-ში ექსტრადიციის საკითხზე საქართველოს მთავარ პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობდა. 2015 წლის 4 მაისს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ აღნიშნული პიროვნების ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის დაკმაყოფილების შესახებ ბრძანება გამოიცა.

მიმდინარე წლის 4 მაისიდან 12 ივნისის ჩათვლით აშშ-ს დიპლომატიური უსაფრთხოების ბიურომ ალირეზა ალ საზეგარის ექსტრადიციის საკითხზე მთავარ პროკურატურასთან, სასჯელაღსრულების სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების მარშალის სამსახურთან ითანამშრომლა.

2015 წლის 13 ივნისს ალირეზა ალ საზეგარის აშშ-ში ექტრადიცია განხორციელდა. ამერიკის შეერთებული შტატების მარშალის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ და ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილმა ალირეზა ალ საზეგარიმ საქართველოს ტერიტორია ინციდენტების გარეშე დატოვეს.

კალიფორნიის შტატის უმაღლეს სასამართლოში შეტანილი სარჩელის მიხედვით, 2010 წლის 6 ივლისს ალირეზა ალ საზეგარიმ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თავის მეუღლეს, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. დადგინდა, რომ ურთიერთშელაპარაკებისას ალირეზა ალ საზეგარიმ მეუღლეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, პირი აუკრა, ხელ-ფეხი შეუკრა და აბაზანაში ჩაკეტა, შემდეგ კი მოკვლით დაემუქრა, თუ მომხდარზე პოლიციაში განაცხადებდა. მომდევნო დღეს ალირეზა ალ საზეგარიმ მეუღლეს სახლის დატოვება აუკრძალა და პირადობის მოწმობა, საკრედიტო ბარათები და გასაღები ჩამოართვა. მოგვიანებით ქალბატონს მისმა აღელვებულმა თანამშრომელმა სახლში მიაკითხა და მომხდარის შესახებ პოლიციაში განაცხადა. პოლიციელებმა საცხოვრებელ სახლში ასევე აღმოაჩინეს 20 ფარული ვიდეოკამერა, რომელთა მეშვეობითაც ალირეზა ალ საზეგარი, სავარაუდოდ, საკუთარი მობილური ტელეფონით მეუღლეს უთვალთვალებდა. ალირეზა ალ საზეგარის დაპატიმრების ორდერი 2010 წლის 18 ნოემბერს გაიცა.

აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ამიერკავკასიის რეგიონის ხელმძღვანელმა (ატაშემ) კეთლინ კენინგმა განაცხადა: **„ჩვენ აქ დღეს ვიმყოფებით, რომ ხაზი გავუსვათ ახლო თანამშრომლობას საქართველოს და ანერიკის შეერთებულ შტატების სამართალდამცველებს შორის და აღვნიშნოთ შედეგები ამ მნიშვნელოვანი ურთიერთობისა.**

**ქართველ სამართალდამცველთა ჩართულობისა და აქტიური მუშაობის შედეგად მიღწეული იქნა აშშ-სა და ირანის ორმაგი მოქალაქის — ალირეზა ალ საზეგარის ექსტრადირება საქართველოდან შეერთებულ შტატებში, რათა წარედგინოს ოჯახური ძალადობის სერიოზული ბრალდება, რასაც ადგილი ჰქონდა კალიფორნიის შტატში 2010 წელს.**

**მიუხედავად იმისა, რომ ბატონი საზეგარი ინარჩუნებს უდანაშაულობის პრეზუმფციას, ახლა ის პატიმრობაშია. იგი და მისი სავარაუდო მსხვერპლი წარდგებიან სასამართლოს წინაშე.**

**ოჯახური ძალადობა არის დანაშაული, რომელსაც გამოძიების ფედერალური ბიურო უდგება სერიოზულად და საქართველოს სამართალდამცველების ძალისხმევის შედეგად ჩვენმა ორმა ქვეყანამ გააგზავნა სერიოზული გზავნილი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ:**

**ყველა კარგად უნდა დაფიქრდეს, ვიდრე ოჯახური ძალადობის ჩადენასა და შემდეგ გაქცევას გადაწყვეტს, ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოები მთელ მსოფლიოში ბევრს ვმუშაობთ და ვთანამშრომლობთ კულისებში, რათა უზრუნველყოფილი იქნას ძებნილების ადგილსამყოფელის დადგენა/დაკავება და წარდგენა მართლმსაჯულების წინაშე“.**

აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის იურიდიულ საკითხთა მრჩეველმა მაიკლ გრანტმა განაცხადა: **„ვიზიარებ ფედერალური ბიუროს წარმომადგენლის, კეთლინ კენინგის განწყობას და მივესალმებით ყველა იმ ქართველ სამართალდამცველს, რომლმაც დააკავა და დაეხმარა ბატონი საზეგარის უკან, ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადირებას ოჯახური ძალადობის ძალიან სერიოზული ბრალდებების წინაშე წარსადგენად.**

**საქართველოს ინიციატივა და თანამშრომლობა სამაგალითოა ამ შემთხვევაში. დაწყებული შსს-ს საპატრულო პოლიციის ოფიცრებით, რომელთაც გამოააშკარავეს ბ-ნი საზეგარი საქართველოში შემოსვლისას, საქართველოს მთავარ პროკურატურას, რომელთაც კოორდინაცია გაწიეს აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროსა და სახელმწიფო დეპარტამენტის დიპლომატიური უსაფრთხოების ბიუროსთან და საბოლოოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ვინც დაეხმარა პროცესს და საბოლოოდ დაამტკიცა ბატონი საზეგარის ექსტრადიცია. ყველა ამ უწყებამ შეასრულა გადამწყვეტი როლი, რათა სავარაუდო ბრალდებული წარდგენილიყო სასამართლოს წინაშე ისეთი სერიოზული დანაშაულის ჩადენისთვის, როგორიცაა ოჯახური ძალადობა. „ორენჯ ქანტრი“ უბნის პროკურატურის ოფისისა და ჩემი სახელით, მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველა ქართველ საჯარო მოსამსახურეს მათი მუშაობის, თავდადებისა და ხელმძღვანელობისათვის ამ მნიშვნელოვან საქმეში. მათი ძალისხმევის გარეშე, სავარაუდო დამნაშავე ახლაც ძებნილი იქნებოდა. ნაცვლად ამისა, იგი ამჟამად პატიმრობაშია და ელოდება სასამართლოს“.**

*„ვერსიანიუსი“*



# „მზიურის“ ტერიტორიაზე მაშველებმა საპატრულო მანქანა იპოვეს

მაშველებმა „მზიურის“ ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაკარგული საპატრულო მანქანა იპოვეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, მიმდინარე სამძებრო სამუშაოებისა და საპატრულო მანქანის პოვნაზე შს მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა კომენტარი გააკეთა: **„მაქსიმალურად ჩართულები არიან, ყველა ვხედავთ, სამაშველო სამსახურები და სხვადასხვა დანაყოფები, ასევე მძიმე ტექნიკა. დღეს აღმოაჩინეს ჩვენი საპატრულოს მანქანაც, რომელიც დაკარგული იყო და ვიპოვეთ. რაც შეეხება სამ დაკარგულ ადამიანს, გვქონდა აზერბაიჯანულ მხარესთან მოლაპარაკება, საუბარი, რომ შეიძლება მტკვარს ჰქონდეს წაღებული და ე.წ. მინგეჩაურის წყალსაცავში იქნეს აღმოჩენილი. მაშველები ჩართულები არიან და იქ ეძებენ. თუ რამეს აღმოაჩენენ აუცილებლად გვაცნობებენ“.**

*„ვერსიანიუსი“*

# „სუპერ პუმას“ ტიპის ვერტმფრენები შს სამინისტროს გადაეცა“

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, ვახტანგ კაპანაძის ინფორმაციით, „სუპერ პუმას“ ტიპის ვერტმფრენები შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე გადაეცა.

ვახტანგ კაპანაძე განმარტავს, რომ ახლა ვერტმფრენების მოვლასა და შენახვაზე შინაგან საქმეთა სამინისტრო იზრუნებს: **„შინაგან საქმეთა სამინისტრო განახორციელებს მასზე როგორც მომსახურებას, ასევე გამოყენებას“.**

ვახტანგ კაპანაძემ ნატო-საქართველოს ერთობლივი სასწავლო ცენტრის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ცენტრი, შესაძლოა, დაგეგმილზე ადრე, სექტემბრამდეც გაიხსნას: **„ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები, ძალიან ბევრი რამაა გაკეთებული. ვცდილობთ, ამ მიმართულებით ჩვენს გეგმასაც კი გადავასწროთ. დაგეგმილ ვადას არ გადავაცილებთ, თუ პირიქით, ადრე არ გავხსენით ეს ცენტრი. დაგეგმილი ვადა კი სექტემბერია. ალბათ გესმით, რომ საუბარია სექტემბრამდე ცენტრის დაფუძნებაზე, მისი მშენებლობა, რა თქმა უნდა, გაგრძელდება და ეს არ იქნება მხოლოდ ერთი გარკვეული შენობა. ეს იქნება მთელი სისტემა“.**

ნატო-ს ევროპული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილის, გენერალ სერ ადრიან ბრედშოუს განცხადებით კი, აღნიშნული ცენტრის მშენებლობა საქართველოსთან განსაკუთრებული ურთიერთობების კიდევ ერთი დამადასტურებელია: **„ეს, ყოვლისმომცველი პაკეტის თვალსაზრისით, ძალიან სერიოზული ნაბიჯია. ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვხატავთ მადლიერებას იმ ოცწლიანი თანამშრომლობისთვის, რომელიც ნატო-სა და საქართველოს აკავშირებს“.**

*„პირველი“*

# აშშ-ს საქართველოში ახალი ელჩი ჰყავს



ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა საქართველოში მომდევნო ელჩად იან კელი უკვე დაამტკიცა.

როგორც საქართველოში აშშ-ის საელჩო იუწყება, ელჩი კელი და მისი მეუღლე ფრანჩესკა თბილისში ჩამოსვლას სექტემბერში გეგმავენ.

საელჩოს ინფორმაციით, ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა იან კელის ახალ პოსტზე დამტკიცება მიულოცა და მიმდინარე ზაფხულს საქართველოდან გასამგზავრებლად მზადება დაიწყო: „სადაც უნდა ვიყოთ, საქართველო და ქართველები მუდამ მერის და ჩემ გულებში დარჩებიან“.

*„პირველი“*

# ექსკლუზიური ინტერვიუ ციხიდან



## ბაჩო ახალაია ბიძინა ივანიშვილზე, მიხეილ სააკაშვილზე, ვანო მერაბიშვილზე, ირაკლი ალასანიაზე, თინა ხიდაშელზე, პოლიტიკაში დაბრუნებაზე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ექსმინისტრსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილ უფროსთან ბაჩო ახალაიასთან ინტერვიუ 13 ივნისის სტიქიამდე, ჯერ კიდევ მაშინ დაიგეგმა, როცა ქვეყანაში მთავარი პოლიტიკური თემა 4 წევრის მიერ ნაციონალური მოძრაობის დატოვება და მიხეილ სააკაშვილის ოდესაში გაგუბერნატორება იყო. ინტერვიუს უჩვეულო ფორმის გამო, დაკავებულ მაღალჩინოსანთან, რომელსაც 16 ბრალი წაუყენეს, კონტრკითხვების დასმა არ მოხერხდა. შესაბამისად, ალბათ, საზოგადოებაში კიდევ ბევრი კითხვა დარჩება უპასუხოდ, თუმცა, იმედი გვაქვს, მომავალში მათზე პასუხს მივიღებთ. დღეს კი, უცვლელად, შემოკლების გარეშე გთავაზობთ ახალაიას პასუხებს რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვაზე.**

**— ბატონო ბაჩო, საინტერესოა თქვენი შეფასება, რა პროცესი დაიწყო ნაციონალურ მოძრაობაში, როცა სააკაშვილმა შესაძლოა, საქართველოს მოქალაქეობა დაკარგოს, პარტიიდან კი 4 პირი — ჯაფარიძე, ხაჩიძე, კუბლაშვილი და მელაძე წავიდნენ. რაკი ხმები იმის შესახებ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში რამდენიმე ე.წ. ფრთა არსებობს, დადასტურდა, ვის უჭერს დღეს მხარს ახალაია, სააკაშვილს, ბოკერიას თუ პარტიიდან გასულ ნაწილს?**

— თქვენი კითხვები რამდენჯერმე გადავიკითხე, რადგან ძალიან ბევრი საკითხია მოქცეული თითო შეკითხვაში. არ ვიცი, თქვენი ხელწერაა ასეთი, თუ ეს იმის ბრალია, რომ ინტერვიუ თავისთავად არაორდინალური ფორმით კეთდება და ციხიდან წერილებს ვგზავნი. ვეცადე, ყველა კითხვაზე მეპასუხა, იმის მიუხედავად, რა მიმაჩნია მნიშვნელოვნად და რა არა. რაც შეეხება პრეზიდენტ სააკაშვილის მოქალაქეობის საკითხს, მას მოქალაქეობა ნამდვილად არ დაუკარგავს და როგორც თავად განაცხადა, არც დათმობას აპირებს. სულ სხვა თემაა, ხელისუფლება წაართმევს თუ არა, მაგრამ ამაშიც ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. ყველანი საქართველოს მოქალაქეები ვართ, ყველანი ვართ თავისუფლები და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომელს წაგვართმევენ — პასპორტს თუ თავისუფლებას, ავდგებით და უბრალოდ, ორივეს დავიბრუნებთ! პარტიიდან ოთხი ადამიანის წასვლას რაც შეეხება, ამას განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. ნაციონალურ მოძრაობას დასამტკიცებელი არაფერი აქვს. ყველასთვის ცხადია, რომ ეს მოძრაობა ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტიაა და ზოგადად, ყველაზე მებრძოლი, ჩამოყალიბებული, გამოცდილი პოლიტიკური ჯგუფია, რომელსაც თანმიმდევრული ხედვები აქვს და იცის, საქმე როგორ აკეთოს. რაც უნდა იყოს ამ ოთხი ადამიანის წასვლის მიზეზი, რა სახის დისკომფორტი ან აზრთა სხვადასხვაობა, დღეს, 2015 წელს, ასეთი ქცევის მასტიმულირებელი ვერაფერი იქნებოდა, გარდა მათი სისუსტისა. ასეთი სისუსტე კი მომავალი პოლიტიკური კრახის გარანტიაა. მითუმეტეს, მათ დატოვეს პარტია, რომელიც ისტორიის შექმნას აგრძელებს. სრულიად დაუსაბუთებელია იმ პარტიის დატოვება, რომელმაც პირველად საქართველოს ისტორიაში, შეძლო გაძლიერება ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ.

ალბათ, ამ თემასვე ეხება თქვენი კითხვის შემდეგი ნაწილი, „რამდენიმე ფრთასთან“ დაკავშირებით. ფრთა იმისაა, ერთზე მეტი უნდა იყოს, თორემ ფრენა შეუძლებელია, ეს ისე... სინამდვილეში, ნაციონალური მოძრაობის სიცოცხლისუნარიანობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რაც მაგალითად ღარიბაშვილს სისუსტე და მისი უტოპიური ოცნების ასრულება ჰგონია. ესაა აზრთა მრავალფეროვნება, მუდმივი დისკუსია და განსხვავებული შეხედულებების განხილვა. კომუნისტური პარტია იყო ერთადერთი, სადაც ყოველთვის ყველაფერი ერთნაირად იყო და არსებობდა მხოლოდ ერთი აზრი. ამ პარტიის დამახინჯებულ კვაზი-გადმონაშთს კი დღეს „ოცნება“ ნამდვილად ჰგავს. ნაციონალურ მოძრაობაში, იმედია, მუდმივად იქნება აზრთა და შეხედულებათა მრავალფეროვნება ცალკეულ საკითხებზე და თუ იმას მეკითხებით, არის თუ არა სააკაშვილი ცალსახა ლიდერი, დიახ, ნამდვილად ასეა და როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს იქნება!

**— გთხოვთ, გაიხსენოთ, რა ხდებოდა კანცელარიაში 2012 წლის არჩევნების შემდეგ, როცა სააკაშვილმა ყოფილ მაღალჩინოსნებს, მასობრივი დაჭერების თავიდან აცილების მიზნით, ქვეყნის დატოვება გთხოვათ. რამდენად რეალურია კანცელარიიდან გამოსული ხმები, რომ ამ დროს, ნაციონალები ყველა პარტიული ცოდვის ახალაიებისთვის გადმობრალებას და პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებას ამის ხარჯზე ცდილობდნენ?**

— 2012 წელი ნამდვილად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რაოდენ სამწუხაროდაც უნდა ჟღერდეს, ეს სჭირდებოდა საქართველოს, ხელისუფლებას, ოპოზიციას, ხალხს — ყველას. ეს კარგი გაკვეთილი იყო, რომელიც მომავლისთვის გათვალისწინებული იქნება. საქართველოში პირველად მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება და ესეც წინა ხელისუფლების დამსახურებაა. ჩვენ პასუხისმგებლობით ვეკიდებით სახელმწიფოს. რაც შეეხება დაჭერებს, ყველა მშვენივრად ვხედავდით, რა დაბოღმილი, არაკომპეტენტური და არაქართული ძალა მოდიოდა ბიძინა ივანიშვილის სახით და შესაბამისად, ძნელი მისახვედრი არ იყო, რას მოიმოქმედებდა პოლიტიკაში მოსული მაფიოზი — იქნებოდა პოლიტიკური რეპრესიები და ბუნებრივია, არც ერთ ჩვენგანს არ უნდა სდომებოდა საკუთარი თანამებრძოლის ციხეში ხილვა სრულიად უსამართლოდ, მხოლოდ იმის გამო, რომ ვიღაცას ბოღმა ახრჩობდა.

**— თქვენი მისამართით მუდმივად ისმოდა ერთი კითხვა — შინაგან საქმეთა მინისტრობისას, გქონდათ თუ არა, რეალურად, პრემიერ ვანო მერაბიშვილთან დაპირისპირება და რა იყო ამის მიზეზი. რა ურთიერთობა გქონდათ მის მოადგილე ამირან მესხელთან თქვენ და თქვენს ძმას, დათა ახალაიას და რას უკავშირდება გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ მესხელი და ახალაიები ვანო მერაბიშვილს უპირისპირდებოდნენ?**

— აი, მაგალითად ამ კითხვაში ნახსენები ამირან მესხელი რომ წავიკითხე, გულწრფელად გეტყვით, წამიერად დავიბენი და ვერ გავიხსენე, ვინ იყო. ვანოსთან დაკავშირებით ძალიან ბევრჯერ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ მასთან ყოველთვის საქმიანი ურთიერთობა მქონდა, განსაკუთრებით სუბორდინაციული მაშინ, როცა ის პრემიერი გახდა. ჩემი ძმა კი, ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ვანოს უახლოესი მეგობარია. მე და ვანოს დღესაც გვაქვს ადვოკატების მეშვეობით ურთიერთობა, ერთმანეთში ძალიან ბევრ მოსაზრებას ვცვლით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ განსხვავებული შეხედულებებიც არ გაგვაჩნია ცალკეულ ტაქტიკურ საკითხებზე.

**— როგორც თავდაცვის ყოფილი მინისტრი, როგორ აფასებთ სამინისტროში ბოლო წლებში მიმდინარე პროცესებს, ირაკლი ალასანიას მინისტრობას და მოგვიანებით, მის ოპოზიციაში გადასვლას. ახლა თინა ხიდაშელის გამინისტრებას და ზოგადად, რესპუბლიკური პარტიის აღზევებას ყველა სახელისუფლო რგოლში?**

— ქართული არმია ჩემი უდიდესი გულისტკივილია. მონღოლივით გადაუარა ივანიშვილმა ქართულ ჯარს! ნამდვილი უბედურებაა, რაც იქ ხდება. დაუკვირდით რა საშინელებაა — ხომ ყველამ ვიცით, რომ მუხათგვერდისა და სხვა ძმათა სასაფლაოებზე ქართველი გმირი ჯარისკაცები წვანან, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მათი გადარჩენილი თანამებრძოლები ისეთივე გმირები არიან, ერთი განსხვავებით — უბრალოდ, სიკვდილს გადაურჩნენ. სად არის ამ ხალხის დიდი ნაწილი დღეს?! ზოგი ციხეში, ზოგი დევნილობაში, სხვები კი სრულ გაუგებრობადქცეულ არმიას შემორჩნენ, რაც ძალიან სამწუხაროა. თუმცა, როგორც ჩანს, უნამუსობას საზღვარი არ აქვს. ირაკლი ალასანიაზე მე ნუ მკითხავთ, ჩემი აზრი ყველამ იცის, ის ჩვეულებრივი ნამუსგარეცხილი ავანტიურისტია! ჰკითხეთ მას, რატომ იფშვნეტდა ხელებს, როცა პირდაპირი მნიშვნელობით, საქართველოსთვის თავდადებულ გმირებს, ადამიანებს, რომლებმაც სისხლი დაღვარეს ქვეყნისთვის, ზუსტად ის პროკურორები და მოსამართლეები იჭერდნენ და ასამართლებდნენ უტიფრად, ვინც ახლა მის ბულალტრებს გადაეკიდა?! ჰკითხეთ, რატომ გაწირა მათი ოჯახები, რატომ დატოვა ათასამდე ადამიანი უმუშევარი — მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემთვის ევნო! ამის მერე კიდევ ვინმე ისაუბრებს მის პროგრესულ ღირებულებებზე? ავანტიურისტებს მხოლოდ ერთი ღირებულება აქვთ — საკუთარი კეთილდღეობა და მორჩა! მართალია, იგი იყო და რჩება რუსულ საფრთხედ, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი თავდაცვის დოქტრინამ ასეთი მოვლენა თავის დროზე ვერ გაითვალისწინა. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს ამ არსებასთან არასდროს არაფერი ესაქმებოდა! თინა ხიდაშელის მინისტრობაზე რა შეიძლება ითქვას: პირველივე წუთებიდან ჩანდა, რა კმაყოფილი იყო ვაჭრობის შედეგით. თითქოს, საქართველო ბაზარია და არმია რაღაც უბრალო ბოსტნეული, რომელიც ვიღაცამ ვიღაცას ხელსაყრელ ფასად მიჰყიდა. კარგი იქნება, თუ მალე დაანებებენ ქართული ჯარის დაცინვას თავს. აშკარად გამოჩნდა, რომ მისთვის მთავარი მინისტრის სავარძელი იყო. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ მინისტრობის მიღების შემდეგ, რესპუბლიკურმა პარტიამ უმალვე შეცვალა პოზიცია საარჩევნო კოდექსზე და უარი განაცხადა საყდრისის თაობაზე საპარლამენტო კომისიის შექმნაზე, იმის მიუხედავად, რომ თავიდან ორივე საკითხზე სხვაგვარად ფიქრობდნენ.

**— დღეს საუბარია იმაზე, რომ პოლიტიკურ პროცესებში რაღაც წვლილი ციხიდან თქვენც შეგაქვთ და შესაძლოა, საკუთარ პარტიასაც ქმნით. გაქვთ თუ არა გავლენა მიმდინარე პროცესებზე, თუნდაც პოლიტიკურ კულუარებში და რას აპირებთ ციხის დატოვების შემდეგ?**

— ალბათ, იმას გულისხმობთ, რა დოზით ვარ პროცესებში ჩართული. ბუნებრივია, ეს ჩართულობა ციხის გამო შეზღუდულია. სწორედ ამაშია პოლიტიკური პატიმრობის არსი — მოგწყვიტონ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, გაგირთულონ გარესამყაროსთან ურთიერთობა. თუნდაც ჩვენი ინტერვიუ გაცილებით საინტერესო და მრავლისმთქმელი იქნებოდა, ასეთი ფორმით, ჩუმად, კონსპირაციულად რომ არ ყოფილიყო ურთიერთობა საჭირო.

ციხიდან გამოსვლის შემდეგაც ჩემი ცხოვრების მთავარ მიზანს, აფხაზეთში დაბრუნებას მოვემსახურები. სხვა შინაარსი ჩემს ცხოვრებას არასდროს ჰქონია და არც ექნება.

ვერსიანიუსი

## „საქართველო ნატო-ს მისიაში მონაწილე კონტინგენტებს შორის მეორე ადგილზეა“




ნატო-ს ევროპული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილის, სერ ადრიან ბრედშოუს განცხადებით, საქართველოს წვლილი ISAF-ისა და „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ მისიაში განსაკუთრებულია. მისი თქმით, საქართველოსა და ნატო-ს 20-წლიანი პარტნიორობა აკავშირებს, რაც ორივე მხარისათვის სასარგებლოა: **„საქართველო ჩვენ მისიაში მონაწილე კონტინგენტებს შორის მეორე ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, რაც ნათლად მეტყველებს საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებსა და თავსებადობაზე. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უკეთ იცნობს რეგიონს და ნატო-ს სწავლებებსა თუ ოპერაციებში ქართველი სამხედროები, პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლების მხარდამხარ ასრულებენ მისიას. დაახლოებით ორი თვის წინ, საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის „ალფა“ ასეულს ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში მონაწილეობის სერტიფიკატი გადავეცი. ქართულმა ქვედანაყოფმა ეს სტატუსი პირველად მიიღო და ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა თქვენი შეიარაღებული ძალებისთვის. ეს ფაქტი არის ნათელი მაგალითი, თუ რისი მიღწევა შეუძლიათ ნატო-ს და საქართველოს ერთობლივი ძალებით“.**

ბრედშოუსვე განმარტებით, ნატო მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში: **„ჩვენი თანამშრომლობა მტკიცეა და მზად ვართ, ერთობლივი ძალებით უფრო გავაძლიეროთ პარტნიორული ურთიერთობები“.**

ნატო-ს ევროპული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილემ, ნატო-ს სახელით, სტიქიის შედეგად დაღუპულების ოჯახებს და კაპრალ დავითაიას ოჯახს, რომელიც ავღანეთში მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა, სამძიმარი გამოუცხადა.

*„პირველი“*

# რა იცვლება 140 მილიონი ლარით გაკორექტირებულ ბიუჯეტში




## შსს-ს ბიუჯეტი 10 მილიონი ლარით, ხოლო თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი — 5 მილიონი ლარით მცირდება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**რამდენიმე დღის წინ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი მთავრობის სხდომაზე უკვე წარადგინა. ეს პროცესი 13-14 ივნისს, თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო გადაიდო, თუმცა ფინანსთა მინისტრის განმარტებით, ლარის დევალვაციის გარდა, სწორედ 13-14 ივნისის ტრაგედიაც ერთ-ერთ მიზეზად იქცა, რის გამოც ბიუჯეტის კორექტირება აუცილებელი იყო. მთლიანობაში, სახელმწიფო ბიუჯეტი 140 მილიონი ლარით მცირდება, რაც ეკონომიკის ექსპერტთა ნაწილის მოსაზრებით, ბევრს არაფერს ნიშნავს.**

ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელება გამოწვეულია ორი ძირითადი მიზეზით: რეგიონში და ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რასაც პირდაპირი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე. შედეგად, მიმდინარე წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეიცვალა და დაგეგმილი 5%-ის ნაცვლად, 2%-ით განისაზღვრა; 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ, აუცილებელია დამატებითი თანხების მოძიება. ამ მიზეზების გათვალისწინებით, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილების პროექტით, საგადასახადო შემოსავლების გეგმა 200 მილიონი ლარით მცირდება, თუმცა სხვა წყაროებიდან მიღებული სახსრები იზრდება, კერძოდ, როგორც ფინანსთა სამინისტროში განგვიმარტეს: **„დონორებთან გაწეული მოლაპარაკებების შედეგად, საბიუჯეტო დახმარების სახით მიღებული გრანტები 40 მილიონი ლარით, ხოლო კრედიტები 184 მილიონი ლარით იზრდება. ჯამში, დამატებით 224 მილიონ ლარს მივიღებთ; მობილური ოპერატორების მიერ, მეოთხე თაობის ლიცენზიის შეძენისთვის გადახდილი სახსრებით, ბიუჯეტში დამატებით 150 მილიონი ლარი შემოვა; „სხვა შემოსავლების“ მუხლი 20 მილიონი ლარით იზრდება; სახაზინო ვალდებულებების (შიდა ვალი) აღება 100 მილიონი ლარით მცირდება; საბიუჯეტო დეფიციტის დაბალ ნიშნულზე შენარჩუნების მიზნით, კონკრეტული პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი რესურსი 67 მილიონი ლარით მცირდება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არსებულ გეგმასთან შედარებით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, დაახლოებით, 27 მილიონი ლარით გაიზრდება“.**

რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით, კონკრეტულად კი გადასახდელების ნაწილს, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებები გულისხმობს მხარჯავი დაწესებულების ასიგნებების შემცირებას 140 მილიონ ლარამდე, მათ შორის, საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში, სამინისტროების ასიგნებები, დაახლოებით, 70 მილიონი ლარით მცირდება. დონორების დაფინანსებული პროექტების ნაწილიც, დაახლოებით, 70 მილიონ ლარამდე შემცირდება.

საბიუჯეტო სახსრების ნაწილში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებები — 10 მილიონი ლარით; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ასიგნებები — 5 მილიონი ლარით; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტოს ასიგნებები — 12 მილიონი ლარით; საქართველოს პარლამენტის ასიგნებები — 6 მილიონი ლარით; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ასიგნებები — 7 მილიონი ლარით; სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებები — 8 მილიონი ლარით; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ასიგნებები — 3.5 მილიონი ლარით; გარემოს დაცვის სამინისტროს ასიგნებები — 2 მილიონი ლარით; სხვა დანარჩენი მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებები, ჯამში — 17 მილიონი ლარით მცირდება.

რაც მთავარია, ფინანსთა სამინისტროში განმარტეს, რომ სოციალურ ხარჯებს ბიუჯეტის კორექტირება არ ეხება! მართალია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებები 12 მილიონი ლარით მცირდება, მაგრამ ეს ამ სამინისტროს ბიუჯეტის მხოლოდ 1.5%-ია. მათი ინფორმაციით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილი არცერთი პროექტი არ შეჩერდება, ბიუჯეტი კი მხოლოდ მოსალოდნელი ეკონომიის ხარჯზე შემცირდა.

დონორების დაფინანსებული პროექტების ნაწილში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ასიგნებებიც მცირდება. მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში გამოთავისუფლებული რესურსი — 85 მილიონი ლარი, მიიმართება ბიუჯეტით გათვალისწინებულ ფონდებში, რათა გამოთავისუფლებული რესურსით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდეს. 53 მილიონი ლარით იზრდება საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებები.

საბოლოოდ, ამ ცვლილებებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი არ შეცვლილა. იმის გათვალისწინებით, რომ შემოსულობები 27 მილიონი ლარით მეტი იქნება, აღნიშნული თანხა ბიუჯეტის ანგარიშზე დამატებით დაგროვდება. ფინანსთა სამინისტროში „ვერსიას“ განუმარტეს, რომ 300 მილიონი ლარის ნაცვლად, სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე 327 მილიონი ლარი დაგროვდება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის თავმჯდომარე, **რომან გოცირიძე**, სოციალურ ქსელში, Facebook-ის საკუთარ გვერდზე, სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირებას ასე ეხმაურება: **„უკვე ბევრჯერ შევამჩნიე, რომ ფინანსთა სამინისტრო პრემიერ-მინისტრს ატყუებს. იგი აკეთებს განცხადებებს სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციითა და ინტერპრეტაციით, ხოლო რეალობა სულ სხვაა. ბოლო ასეთი, სკანდალური ფაქტია ბიუჯეტის ხარჯებთან დაკავშირებული მოვლენები. სამინისტროები საგმირო საქმესავით გვამცნობენ, თუ როგორ შემოუჭირეს ქამრებს და შეამცირეს ხარჯები. სინამდვილეში, ერთი მუხლიდან (სამინისტროდან), მეორეში გადაიტანეს თანხები, ბიუჯეტის ხარჯები კი არცერთი თეთრით არ შემცირებულა. კორექტირებული ბიუჯეტი გაცილებით უარესია, ვიდრე თავდაპირველი, რადგან შემოსავლების ყველაზე ჯანსაღი, საგადასახადო ნაწილი 200 მილიონი ლარით მცირდება, რაც მომავალში, სავარაუდოდ მისაღები სალიცენზიო შემოსავლით, ანუ ახალი თაობის მობილური კავშირგაბმულობის სიხშირის გაყიდვიდან ჩანაცვლდება“.**

რომან გოცირიძის განცხადებით, საგარეო ვალის გასტუმრების ხარჯი 53 მილიონი ლარით იზრდება, სინამდვილეში, ზუსტად იგივეს იხდიან, ოღონდ უცხოურ ვალუტაში. ზრდა გამოწვეულია ლარის გაუფასურებული კურსით გადაანგარიშების გამო: **„მთლიანობაში, მთავრობა უპასუხისმგებლოდ მოიქცა, რადგან ბიუჯეტი, თუნდაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მოსალოდნელი კლების პროპორციულად არ შეამცირა. თუ გავითვალისწინებთ ექსპორტის სერიოზულ კლებას, უცხოური ინვესტიციების შემცირებას, უცხოეთიდან გადმორიცხვების შემცირებას და არც თუ ისე სახარბიელო სურათს ტურისტული სეზონის თვალსაზრისით, რისკები საკმაოდ რჩება. როგორც ჩანს, ფინანსთა სამინისტრო შეგნებულად უმალავს მთავრობასა და საზოგადოებას რეალურ ვითარებას, მთელი აქცენტები ეროვნულ ბანკსა და ე.წ. საგარეო ფაქტორებზე გადააქვს, რითაც კრიზისული ვითარებიდან მშრალად გამოსვლას ცდილობს“.**

რომან გოცირიძის ამ შენიშვნას ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადური გამოეხმაურა და არც ისე შორეულ წარსულში, „მასწავლებელსა“ (რომან გოცირიძე) და „მოსწავლეს“ (ნოდარ ხადური) შორის, ნამდვილი საბიუჯეტო „ასპარეზი“ გაიმართა. ხადურმა გოცირიძეს კუპონის ჰიპერინფლაციისა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტობისდროინდელი პერიოდები შეახსენა. თუმცა, თუ ამ პერიოდებს ობიექტურად შევაფასებთ, დავრწმუნდებით, რომ კუპონის დროს, რომან გოცირიძე მხოლოდ სამი თვე იყო მთავრობაში, თანაც ვიცე-პრემიერის პოსტზე და ჰიპერინფლაცია ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს არ დაწყებულა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტად კი რომან გოცირიძე 2006 წელს დაინიშნა. მოკლედ, ამ დებატებში აშკარად გამოიკვეთა, რომ რომან გოცირიძეს, როგორც ხადურის „მასწავლებელს“, ამ უკანასკნელისთვის „ხეზე ცოცვა“ არ უსწავლებია.

ვერსიანიუსი

## მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორს ირაკლი ღარიბაშვილმა „ოქროს საწმისის“ ორდენი გადასცა



საქართველოსთვის გაწეული სამსახურისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორს სამხრეთ კავკასიაში, ჰენრი კერალს „ოქროს საწმისის“ ორდენი გადასცა.

მთავრობის მეთაურმა ჰენრი კერალთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა, რომელსაც საქართველოში საქმიანობის მისია ამოეწურა.

როგორც მთავრობის ადმინისტრაციაში აცხადებენ, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ჰენრი კერალის უშუალო ჩართულობით, მსოფლიო ბანკმა ქვეყნის განვითარების, ეკონომიკის პროდუქტიულობის ზრდის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების კუთხით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა და დღემდე ახორციელებს. მათ შორის არის საგზაო ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, რეგიონული განვითარების და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის კუთხით მიმდინარე პროექტები.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, მიმდინარეობს ქვეყნის ერთ-ერთი საკვანძო ინფრასტრუქტურული პროექტის — აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა/რეაბილიტაცია, რომლის ძირითადი მიზანია, ქვეყნის დედაქალაქი და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონები დასავლეთ საქართველოში მდებარე საპორტო, რეკრეაციულ და ტურისტულ ცენტრებთან დააკავშიროს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ჰენრი კერალს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და მას საქართველოს მეგობარი უწოდა.

შეხვედრას ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური დაესწრნენ.

*„პირველი“*

## ქრთამის აღების ფაქტზე „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ ორი თანამშრომელი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ქრთამის აღების ფაქტზე „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ ორი თანამშრომელი — პაატა მახარაძე და ავთანდილ ქვარიანი დააკავა.




გამოძიების ინფორმაციით, ერთ შემთხვევაში ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის წარმომადგენელმა მის დაქვემდებარებაში არსებული ტყის ფონდის ტერიტორიიდან ხის ნერგების უკანონოდ გასხვისების სანაცვლოდ, მოქალაქეს მოსთხოვა და გამოართვა 1 000 ლარი.

ასევე, დაკავებულია კახეთის სატყეო სამსახურის თანამშრომელი, რომელმაც მის დაქვემდებარებაში არსებული ტყის ტერიტორიიდან, სამასალე ხეების უკანონოდ მოჭრის ნებართვის გაცემისა და მოჭრილი მასალის გადაზიდვის დროს მფარველობისათვის მოქალაქისგან ქრთამის სახით 800 ლარი აიღო.

ორივე ფაქტზე საგამოძიებო სამსახური გამოძიებას სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით აგრძელებს, რაც 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

*„პირველი“*



# „დამცავი კაშხალი მხოლოდ ვერეზე კი არა, მდინარე გლდანულაზეც უნდა აშენდეს“

## რამდენად აუცილებელი განგაშისა და წინასწარი შეტყობინებების სისტემების დამონტაჟება ქვეყნის მასშტაბით, არის თუ არა საშიში ხუდონჰესი და რა ცვლილებები შევიდა ხუდონის პროექტის მემორანდუმში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**13-14 ივნისის ტრაგედიის შემდეგ გამოიკვეთა, რომ ქვეყნის მასშტაბით, მეწყერსაშიშ ზონებსა და ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კაშხლებზე წინასწარი შეტყობინებისა და განგაშის თანამედროვე სისტემები უნდა დამონტაჟდეს. ხუდონჰესის ინვესტორი კომპანია „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას“ ტექნიკური დირექტორი დავით მირცხულავა „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ თუ დროის ხანგრძლივ პერსპექტივაში, თბილისის სამუდამოდ დაცვა გვინდა, არა მარტო მდინარე ვერეზე, არამედ გლდანულაზეც, დამცავი კაშხლები უნდა აშენდეს!**

**— ბატონო დავით, 13-14 ივნისის ტრაგედიის შეფასებისას, გაჩნდა კითხვა, რამდენად ითვალისწინებენ მშენებლები გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ), განსაკუთრებით ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დროს, უფრო კონკრეტულად, რამდენად უსაფრთხოა ხუდონჰესის პროექტი?**

— შარშან, დარიალის ხეობაში, როდესაც მდინარეების — თერგისა და დევდორაკის შესართავთან მეწყერი ჩამოწვა, ექსკლუზიური ინტერვიუ მოგეცით და გითხარით, რომ საქართველოში უამრავი მეწყერსაშიში ზონაა, ამიტომ განგაშისა და წინასწარი შეტყობინების სისტემები ყველგან უნდა დამონტაჟდეს. ამ სისტემების დამონტაჟება მარტივია და დიდ დანახარჯებს არ მოითხოვს. ეს არის თანამედროვე გამზომი მოწყობილობები და თუ მეწყერსაშიშ ზონებში დავამონტაჟებთ, ძალიან ადრე შევძლებთ შეტყობინების მიღებას შესაძლო კატასტროფის, ინციდენტის, ან ავარიის შესახებ. დევდორაკის ტრაგედია დარიალჰესს არ გამოუწვევია. საქართველოში რამდენიმე კაშხალი გვაქვს, რომლებიც პოტენციურად, შესაძლოა, საშიში იყოს, რადგან მაღალი რისკის ნაგებობებია. ასეთია მაგალითად, ჟინვალჰესის კაშხალი, მაგრამ აქ თანამედროვე გამზომი მოწყობილობაა დამონტაჟებული. ენგურჰესის კაშხალიც მაღალი რისკის შემცველი ნაგებობაა, მაგრამ 1997-1998 წლებში, შვეიცარიული გრანტის საშუალებით, უსაფრთხოების მონიტორინგის ახალი სისტემა დამონტაჟდა. ჟინვალჰესისა და ენგურჰესის კაშხლების შემთხვევაში, ეს სისტემა საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ ყველა პროცესს, რაც კაშხალზე მიმდინარეობს. მთელ მსოფლიოში ასე ხდება იმიტომ, რომ ეს სისტემა იძლევა გარანტიებს, რათა არ მოხდეს ავარიები და პროცესები ისე არ წარიმართოს, როგორც თბილისში, 13-14 ივნისს განვითარდა. სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, მდინარე ვერეზე, ამ ტიპის მოწყობილობა რომ ყოფილიყო დამონტაჟებული, მასზე დაკვირვება უამრავ პრობლემას აგვაცილებდა.

რაც შეეხება ხუდონჰესს, ბუნებრივია, პროექტში ასეთი სისტემების მონტაჟი გათვალისწინებული გვაქვს. საინჟინრო, ასევე საინჟინრო-გეოლოგიური მიმართულებებით, ეს ნაგებობა ძალიან კარგადაა შესწავლილი და უამრავი ექსპერტის დასკვნაც არსებობს. ზოგადად, ჩვენი კომპანია ღია და გამჭვირვალეა, ნებისმიერ შენიშვნას კარგად ვაანალიზებთ. ყველა ადგილობრივ თუ საერთაშორისო სპეციალისტს ვთხოვ, რომ პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღონ და საკუთარი შენიშვნებიც წარმოგვიდგინონ. წინასწარ მინდა მადლობა გადავუხადო მათ და ვეცდებით, ხუდონთან დაკავშირებული ყველა შენიშვნა გავითვალისწინოთ. ხუდონი უპრეცედენტო პროექტია, რადგან თავის დროზე, მსოფლიო ბანკმა, ამ პროექტთან დაკავშირებით, საერთაშორისო სპეციალისტების საბჭო შექმნა, მათი დასკვნაც გვაქვს და შენიშვნებიც, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა. — **ფაქტია, რომ ჰიდრორესურსებით მდიდარმა საქართველომ ეს პოტენციალი უნდა განავითაროს, მაგრამ ცალსახად იმის მტკიცება, რომ მთა-გორიან ქვეყანაში ჰესები და კაშხლები საშიშია, სწორია?**

— პროექტი, რომელიც სრულყოფილად და კარგადაა გათვლილი, საშიში არ არის. რაც შეეხება კითხვას, ყოველთვის შვეიცარიისა და ავსტრიის მაგალითები მომყავს, შვეიცარიის ტერიტორიაზე, 245-ზე მეტი წყალსაცავიანი ნაგებობაა, ასევეა ავსტრიაშიც, გადახედეთ სეისმური იაპონიის რუკას, რომელსაც საინჟინრო ნაგებობზე დატრიალებული ტრაგედიები არ აკლია, მაგრამ 2023 წლამდე, იაპონია 100 კაშხალზე მეტის აშენებას გეგმავს. მსოფლიოს არცერთი განვითარებული ქვეყანა არ მისცემს თავს უფლებას, ისეთი სიმდიდრე, რომელიც კონკრეტულად ამ ქვეყანას გააჩნია და ცხადია, ჰიდროპოტენციალს ვგულისხმობ, არ აითვისოს. შეუძლებელია, მდინარეების — ენგურისა და რიონის პოტენციალი არ ავითვისოთ, ეს ჩვენი ნაციონალური, სახელმწიფო სიმდიდრეა, რაც ჩვენი ეკონომიკის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია. გადახედეთ ნორვეგიის მაგალითს, რომელიც დღეს, მსოფლიოში, ეკონომიკურად ყველაზე კარგად განვითარებული ქვეყანაა, უზარმაზარი შემოსავლებით. ნორვეგიაში ვერ ნახავთ მდინარეებს, რომლებიც ათვისებული არ არის, მეტიც, ეს ქვეყანა ზღვის ქვეშ, კაბელების საშუალებით ატარებს ელექტროენერგიას ევროპაში და ყიდის. ერთ-ერთი ასეთი პროექტის ფარგლებში, ზღვის ქვეშ, 540-კილომეტრიანი კაბელის საშუალებით, ნორვეგიას დანიაში შეაქვს ელექტროენერგია. შესაბამისად, ნორვეგიის კეთილდღეობა მხოლოდ 50-იან წლებში აღმოჩენილ გაზსა და ნავთობს კი არა, ჰიდროენერგეტიკისა და ამ რესურსების გონივრულ ათვისებასაც უკავშირდება.

რაც შეეხება ჰიდროპროექტებს, გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და საინჟინრო გადაწყვეტილების მართებულობაზე უმკაცრესი შეფასებები უნდა არსებობდეს. ზოგადად, ნებისმიერ ასეთ პროექტზე, ღია და გამჭვირვალე პროცესები უნდა წარიმართოს, მაგრამ ამავდროულად, სახელმწიფოს პრიორიტეტი სწორედ ასეთი პროექტების განხორციელება უნდა იყოს, რაც რეალურად, თითოეული ქართველის სიმდიდრეა. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ამა თუ იმ პროექტის პატრონი, ეს ჩვენს ტერიტორიაზე არსებული ობიექტებია, რომლებიც სამუდამოდ ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობას მოხმარდება.

**— თქვენი აზრით, რა მოხდა თბილისში 13-14 ივნისს, რატომ ადიდდა მდინარე ვერე?**

— 70-იან წლებში, ქალაქი თელავი დაიტბორა, დაახლოებით ისე, როგორც ახლა, თბილისში. იმ პერიოდში, მაშინდელი ტექნოლოგიების გათვალისწინებით, თელავში დამცავი ნაგებობები ააგეს, მაგრამ ახლა უკვე მოძველდა და მისი განახლება აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, თელავი ისევ დაიბტოროს. საქართველოში 50 000 მეწყერული ზონაა, 5-ჯერ და 6-ჯერ მეტი, ვიდრე ჩვენს მეზობელ ქვეყნებში — სომხეთსა და აზერბაიჯანში. რაც შეეხება თბილისს, უზარმაზარი ტრაგედია მოხდა, უამრავი ადამიანი დაიღუპა და მინდა, თითოეული გარდაცვლილის ოჯახს მივუსამძიმრო. ამ ტრაგედიამ გამოააშკარავა, რომ თუ კატასტროფების მართვის სრულყოფილ სისტემას შევქმნით, მსგავსი ტიპის შემთხვევებს ავიცილებთ. აუცილებელია, რომ კატასტროფების მართვის ცენტრში გეოლოგები, სეისმოლოგები, ჰიდროინჟინრები, ჰიდროლოგები გაერთიანდნენ, რომლებიც პერსპექტივაში, რისკების შესაძლო ზონებს ზუსტად გათვლიან. თანაც ამ ტიპის ცენტრის შექმნა, 13-14 ივნისის ტრაგედიის დროს გარდაცვლილი ადამიანების ხსოვნის პატივისცემაც იქნება, რადგან მომავალში მსგავსი ტიპის ტრაგედია ავიცილოთ. მეტსაც გეტყვით, 70-იან წლებში, ყაზახეთში, ალმა-ათაში მოხდა ანალოგიური ტრაგედია, იქაც პატარა მდინარე ალმაატინკაა, რომელიც შესაძლოა, პარამეტრებით, მდინარე ვერეს შევადაროთ. მოკლედ, სტიქიური უბედურების შემდეგ, ალმა-ათას დასაცავად, სპეციალისტებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ალმაატინკაზე დამცავი კაშხალი აეშენებინათ. რაც შეეხება მდინარე ვერეს, ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობის დროს საუბრობდნენ, რომ ამ მდინარის ხეობაში, დამცავი კაშხალი აეშენებინათ. სხვათა შორის, ეს კაშხალი რომ ყოფილიყო, თბილისი კატასტროფულ შედეგებს აიცილებდა. კაშხლის ფუნქცია ის არის, რომ იქ მეწყერული და ღვარცოფული ჩამონადენი გროვდება, რომელიც ქალაქს იცავს. ამიტომ უმჯობესი იქნება, ამ ტრაგედიის შემდეგ, ისეთი გადაწყვეტილება მივიღოთ, რასაც ბუნებრივია, გარკვეული ინვესტიცია დასჭირდება, მაგრამ სამაგიეროდ, ქალაქი მუდმივად დაცული იქნება. სხვათა შორის, არა მარტო მდინარე ვერეზე, მდინარე გლდანულაზეც უნდა აშენდეს დამცავი კაშხალი.

**— მაგალითად, მდინარე ვერეზე, რა ადგილზე უნდა აშენდეს ასეთი დამცავი კაშხალი?**

— მდინარე ვერეს ხეობაში, უნივერსიტეტის მაღლა, მაგრამ ბუნებრივია, კაშხლის ადგილი შესაბამისმა სპეციალისტებმა უნდა შეარჩიონ. მახსოვს, ალმა-ათას შემთხვევაში, საინჟინრო გადაწყვეტილებაში უამრავი ადამიანი მონაწილეობდა, რომლებმაც საუკეთესო ვარიანტად დამცავი კაშხლის აშენება მიიჩნიეს. თუკი კაშხალი აშენდება, ამით მდინარე ვერე დამცავ ფუნქციასაც შეასრულებს, რომელიც წყლის ნაკადს არ გამოატარებს და მეორე მხრივ, მდინარისა და თუნდაც გვირაბების გამტარუნარიანობასაც არასდროს შეექმნება პრობლემა. ნებისმიერი კატასტროფა რაღაც ახლისა და გონივრულის დასაწყისი უნდა იყოს, ამიტომ ეს დამცავი კაშხალი, ქალაქს ხანგრძლივ პერსპექტივაში დაიცავს ღვარცოფებისგან. ასეთი ტიპის კატასტროფებისგან საქართველო დაზღვეული არ არის, შესაძლოა, მეწყერები და ეროზიული პროცესები დიდმა ნალექებმაც გამოიწვიოს, ძლიერმა ქარმაც და სეისმობიძგებმაც, ამიტომ კატასტროფების კონტროლისა და მართვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჯგუფი აუცილებლად უნდა შეიქმნას.

**— სვანიძის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლების არსებობა გამართლებულია?**

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან ხშირად კაშხლების ქვედა ზონებში, სადაც ადამიანების განსახლება არ შეიძლება, მაინც სახლდებოდნენ. ასეთი უამრავი დარღვევაა, მაგალითად, ჟინვალჰესის ქვედა ზონასა და ენგურჰესზეც. ამიტომ კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ ყველა კაშხალზე და განსაკუთრებით მეწყერსაშიშ ზონებში, უსაფრთხოებისა და მონიტორინგის წინასწარი შეტყობინებისა და განგაშის სისტემების დამონტაჟება აუცილებელია. თუ ამ სისტემების დამონტაჟებას საკანონმდებლო ინიციატივა სჭირდება, სასწრაფოდ უნდა მივიღოთ, რადგან ამის აუცილებლობა შარშან დევდორაკისა და წელს, თბილისის კატასტროფამ გვიჩვენა.

**— ბატონო დავით, ხუდონჰესის პროექტს ხელი უკვე მოაწერეთ?**

— ჯერ არა, რადგან ეს პროცესი თითქმის ერთ წელზე მეტხანს გაგრძელდა. თუმცა ამ პერიოდში, საკმაოდ ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა სახელმწიფოსა და ინვესტორებს შორის, ასევე „ტრანსელექტრიკას“ გუნდს შორის. ახლა უკვე იმ პროცესზე გადავედით, რასაც მემორანდუმში შეტანილ ცვლილებებზე ხელის მოწერა ქვია. დასრულებული დოკუმენტი შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებში თანხმდება, რომელსაც უახლოეს ხანში, ხელს მოვაწერთ.

**— კონკრეტულად, რა ცვლილებები შევიდა მემორანდუმში?**

— ძირითადი ცვლილება ის არის, რაზეც „ტრანსელექტრიკას“ დიდი ხანია, თანხმობა გაცხადებული ჰქონდა — ანუ ჩვენი ინვესტორი, რომელიც ოფშორულ ზონაში იყო რეგისტრირებული, რათა ორმაგი დაბეგვრა აეცილებინა თავიდან, ხელისუფლების მოთხოვნით, არაოფშორულ ზონაში დარეგისტრირდა. გარდა ამისა, ინვესტორი თანახმაა, ხუდონის პროექტში, გარკვეული პროცენტით, სახელმწიფოც შემოვიდეს. როგორც ინვესტორები აცხადებენ, ჩვენი კომპანიის მიზანია, ყველა პროცესი საერთაშორისო დონეზე, უმაღლესი სტანდარტების გამოყენებით წარიმართოს, ღია და გამჭვირვალე იყოს, რაც ხუდონს ბევრი სხვა პროექტისგან განასხვავებს. მთელი ინფორმაცია, რაც ამ პროექტს უკავშირდება, სრული ტექნიკური დასაბუთება, ფინანსური ანალიზი, ღიაა და ყველას შეუძლია, გაეცნოს. ეს საკმაოდ მაღალი სტანდარტია და ვფიქრობთ, ხუდონჰესის პროექტი, ჰიდრომშენებლობაში ახალი სტანდარტის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს, მით უმეტეს, სამშენებლო კუთხით, ჩვენ ახლა ერთ-ერთ, ყველაზე დიდ ობიექტზე ვსაუბრობთ.

## ვერსიანიუსი

### ვერეს ხეობაში გვირაბებს, სადაც მდინარე გადის, ხიდები ჩაანაცვლებს




თბილისის მერიაში, ვერეს ხეობის შესწავლასა და ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი გზის აღდგენასთან დაკავშირებით, უწყებათაშორისი კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა. 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო, მდინარე ვერეს ხეობისა და მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე, ექსპერტებმა თბილისის მერს, ვერეს ხეობის განვითარების შესახებ, კონკრეტული წინადადებები წარუდგინეს. კომისიის წევრები შეჯერდნენ, რომ ვერეს ხეობაში გოფრირებულ გვირაბს ხიდის ტიპის კონსტრუქცია ჩაანაცვლებს.

**„ყველანი ვთანხმდებით, რომ მდინარე ვერე უნდა გათავისუფლდეს იმ გვირაბებისგან, სადაც ის მიედინება. აქედან გამომდინარე, გვირაბს აღარ გავაკეთებთ, ხიდის კონსტრუქციაზე ვიმუშავებთ და ძირითადი საინჟინრო გადაწყვეტილება ამაზე იქნება ორიენტირებული“,** — განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერის განმარტებით, სპეციალისტები მდინარე ვერეს ხეობას საწყისი წერტილიდან შეისწავლიან და კვლევას ჩაატარებენ. პარალელურ რეჟიმში აღდგება გზის დაზიანებული მონაკვეთი: **„გზის აღდგენა უნდა მოვახერხოთ სექტემბრის შუა რიცხვებამდე, რათა მოძრაობა გაიხსნას და პარალელურ რეჟიმში უნდა ვიმუშაოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაზე. გაკეთდება ტრანსპორტისა და მარშრუტების სქემა, რათა ამ კვლევაზე დაყრდნობით, მივიღოთ გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, შეხვედრაზე მსჯელობის ერთ-ერთი საკითხი, მდინარე ვერეზე დამცავი დამბის გაკეთება და წყლის ნაკადების და მოცულობის რეგულირება იყო“.**

*„პირველი“*

პატიმარი №0578

# რუსულ-უკრაინული სამართალი საქართველოში

## „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირის გამო დაპატიმრებული 50 ათასი დოლარის სანაცვლოდ შეიწყალეს



სამი კვირის წინ უკრაინის დედაქალაქში ქართველი „კანონიერი ქურდის“, ლაშა ჯაჭვლიანის სასამართლო პროცესი გაიმართა და შეიძლება თამამად ითქვას, რომ პროკურატურა სახტად დარჩა. ჯაჭვლიანს ინტერპოლი ეძებს, მის გადაცემას იტალიელი სამართალდამცავები ითხოვდნენ აპენინებზე შექმნილი კრიმინალური სინდიკატის გამო. არსებობს ვიდეო, სადაც იგი აღიარებს, რომ კანონიერი ქურდია, რაც ქართული მართლმსაჯულებით ისჯება და...

„მე ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც ჯაჭვლიანი გისოსებსმიღმა უნდა დარჩეს“, — გამოაცხადა მოსამართლე რომან ვინტონიაკმა და ქართველი „კანონიერი ქურდი“ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. მართალია, უკრაინის პროკურატურა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს, მაგრამ თავადაც იციან, რომ ჯაჭვლიანის მოძებნა იოლი არ იქნება — მან კარგად იცის, რომ ინტერპოლი ეძებს და ამიტომ, სათანადოდ დაიმალება. როგორ ხდება ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში კანონის უგულებელყოფა და ინტერპოლის ფეხებზე დაკიდება, ქვემოთ გიამბობთ.

მალხაზ ხ. ქართველმა სამართალდამცავებმა მაშინ დააკავეს, როცა სამშობლოში ძმის გასვენებაში ჩამოვიდა. მას ორი დღე ჰქონდა ქვეყნის დატოვებისთვის, ამ პირობით იყო ჩამოსული, მაგრამ ერთი დღეც არ დასცალდა. აეროპორტიდან სახლში მისულს უკვე პოლიცია ელოდა და „შავ სამყაროსთან“ კავშირის გამო, შვიდი წელი მიუსაჯეს. მახო ერეკლე კოდუასკენ იშვერდა ხელს, გარანტიები მაგან მომცა და რადგანაც მერაბიშვილთან ჰქონდა ურთიერთობა არეული, მე წამაკლესო. მახო რუსთავის №17 ზონაზე მას შემდეგ მიიყვანეს, რაც მისჯილი შვიდი წლიდან ერთი გლდანის ციხეში გაატარა, ორი კი ე.წ. კრიტში, მეექვსე დაწესებულებაში. დახურულ სისტემას თავის კვალი დაემჩნია პატიმარზე, ქაღალდივით თეთრი და გამხდარი მახო მაქსიმალურად ცდილობდა, მზის სხივებს დანახებოდა. ერთი ეგ იყო, რუსულ კრიმინალურ სკოლა გავლილს, აქაური შავი სამყარო ცოტა ეხამუშებოდა და თითოეულ სიტყვაზე იცოდა გამოკიდება, ამიტომ, ყველა ერიდებოდა და ცდილობდა შარში არ გახვეულიყო. მით უმეტეს, არ არსებობდა რუსეთში, მეტ-ნაკლებად, წონიანი ქურდი, რომელსაც მახო არ იცნობდა.

„რას მიშინებ აქაურ ბლატატას? ხომ ხედავ, კეთროვანივით გერიდებიან... ისე, ფერი ისეთი გადევს, მართლა კეთროვანს ჰგავხარ“, — გაუღიმა ერთ დღეს მახოს პატიმარმა №0578-მა და ისიც გაოგნდა.

„ვინ არის ეს?!“ — კბილებში გამოსცრა მახომ და გვერდით მდგომს №0578-ზე მიანიშნა.

„ვიცი და არ გეუბნები? ბლატნოი არ არის, კაიბიჭი არ არის, თითქოს ჩვეულებრივი პეხოტაა, მაგრამ სხადნიაკებს ესწრება, რაზბორკებში მონაწილეობს, მაყურებლები ამბობენ, ჩვენი ძმააო, ასეთ მაწაკობებს ისვრის ხოლმე და ვერავინ ვერაფერს ეუბნება“, — უპასუხეს მახომ.

„ცხოვრებით ვინ ხარ?“ — ახლა №0578-ს მიმართა მახომ.

„ისტორიების შემგროვებელი, ძმას ვენაცვალე. ისე, შენ რომ მოგიყვანეს ზონაზე, მე ვთქვი, მახო მოსულა-მეთქი და კაციშვილი არ ამყვა, არ აქვთ წაკითხული თუთაშხია, ფილმიდან კიდევ არ ახსოვთ ალბათ. არადა, კარგი ლადაობა იქნებოდა“, — გაუღიმა №0578-მა.

„ეს გიჟია?!“ — განწირული ხმით იკითხა მახომ.

„არა, რა გიჟი, ასე გვაგიჟებს ყველას“, — უთხრეს მახოს და სანამ ბრაზისგან ალეწილი სახე ქმედებაში გამოიხატებოდა, №0578-მა მახოს ყურთან ბაგე მიუტანა და რაღაც ჩასჩურჩულა. მახომ შეხედა, მერე ტელეფონებისკენ წავიდა, დარეკა, ორ წუთში დაბრუნდა და №0578-ს გაუღიმა: „ჰო, გიჟი ყოფილა“.

„წამო, ყავას დაგალევინებ, სვაბოდის ყავა მაქვს“, — ღიმილით უთხრა №0578-მა და გზად ისიც ჰკითხა, თენგო როგორ არისო?

„თენგო ჩემი ძმაა, დიდი ხნის ძმა, შენზე მითხრა... რა მნიშვნელობა აქვს, რა მითხრა, შენც ჩემი ძმა ხარ. სვაბოდის ყავა შენ საიდან, მაყურებლებს არ აქვთ?!“ — გაეღიმა მახოს.

„მაყურებლებს ტვინიც არ აქვთ, მაგრამ არა უშავს, აქაურობა ყველაფერს იტანს“, — გაეცინა №0578-ს და პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. ყავას როცა წრუპავდნენ, №0578-მა მაშინ ჰკითხა, მახსოვს, შენ და თენგო ფაქტზე რომ დაგიჭირეს, კაციც ხელს გადებდათ, თუ არ ვცდები, დაჭრილიც იყო ვიღაც და იარაღიც საქმეში და სასამართლო დარბაზიდან როგორ გაგიშვესო?!

„ეჰ, ჩემო ძმაო, ეს აქ არის, ქურდობაზე ლიანდაგივით „სროკს“ რომ არიგებენ, თორემ რუსეთსა და უკრაინაში ას დოლარს მისცემ პოლიციელს და გაგიშვებს. როცა მძიმე საქმეა, უნდა იჩალიჩო, ცოტა ასაკოვანი მოსამართლე დაითრიო და დიდი „მაყუთი“ შესთავაზო. იმან იცის, წამსვლელია და ასეთი საქმე შესაძლოა აღარ ჩაუვარდეს. ამიტომ, „მაყუთს“ იღებს და აკეთებს, რა. მაგ საქმეზე ნახევარი მილიონი გადავიხადეთ მე და თენგომ და პროკურატურას კრუნჩხვა დაემართა, გაგიჟდა პროცესზე, მტკიცებულება იმდენი ჰქონდა, ერთს კი არა, ას საქმეს ეყოფოდა. გამოვძვერით, რა. ფული სულ უნდა გედოს და შანსი არაა, ვერ დაგიჭერენ. მთავარია, პოლიციელი არ გყავდეს მოკლული, თორემ დანარჩენი, რაც გინდა, ის ქენი. ეგ რა არის, საქმეს მოგიყვები, შენ კი არა, ნახევარი უკრაინა დღემდე ლაპარაკობს“, — გაეცინა მახოს.

„დაიწყე მერე, სროკი და დრო, ჩვენ რომ გვაქვს, იმდენი უნდა“, — გაუღიმა №0578-მა.

„მოკლედ, კიევში, გასტრონომების ერთ-ერთი ქსელის მეპატრონის „ბაითი“ უნდა „გაგვეტანა“. შევედით „ბაითში“ და რაც შეიძლება მალე უნდა წამოვიდეთ. ამ დროს ვხედავთ, საძინებელში ვიღაც გოგოს სძინავს. გაგიჟდა ერთი ჩვენი „პადდელნიკი“, ვიცნობ ამ გოგოს, ჩემი ნაშა იყო, მერე დამეკარგაო, გინდა თუ არა, უნდა გავაღვიძოო. მოკლედ, გააღვიძა, იმასაც გაუხარდა ამის ნახვა და დარჩა ეს სირი იქ. არადა, ნახევარ მილიონამდე ნაღდი ფული გვაქვს, ერთი მაგდენი ოქრო და „ტეხნიკას“ ხელს არ ვკიდებთ. საღამოს მამა დაადგა, ნახა ბინა გაძარცულია და ხელი ამ ჩვენს პადდელნიკს დაადო. იმას ბეგრაუნდი ჰქონდა, ნუ იტყვი... აგვიყვანეს ჩვენც და მიდის სასამართლო. ჩვენ თავს ვიგიჟებთ და უარვყოფთ. ჰოდა, ერთ-ერთ „სუდზე“ ჩართეს ფარული კამერა, იმ კაცს ეყენა თურმე ყველა ოთახში და ჩვენი სიფათები ხომ დააფიქსირეს, ისიც გვანახეს, ამ ჩვენმა „პადდელნიკმა“ სახლის პატრონის გოგო როგორ „მიახურდავა“. და ამას უყურებს დარბაზი და მამაც. ეკითხებიან ჩემს „პადდელნიკს“, რას იტყვიო და ამან კიდევ, მამა რას იტყვის, ეგ მაინტერესებსო. მამამ ამაყად თქვა, ჩემს გოგოს საკუთარი ნებით ჰქონდა სექსი, პრეტენზია არ მაქვსო, მაგრამ ბინა რომ გამიქურდეს, ესეც ფაქტიაო. მოკლედ, იმ კაცს ნივთები დავუბრუნეთ და... მოსამართლეს ათასი დოლარი მივეცით და ერთ ყუთ სომხურ კონიაკს დავპირდით. გაგვიშვა, ორ კვირაში ჩამოგვივიდა ერევნიდან ნაღდი კონიაკი და ავუტანეთ სახლში. იცი, რა გოგო ჰყავდა? რომ დავინახე, დორბლი წამომივიდა და იმანაც შემამჩნია. გაიცინა და იცოდე, კამერები მეც მიყენია და თუ გააუპატიურებ, დაგიჭერო. ეს არის, ძმაო, იქაური სამართალი და აბა, აქ რა ხდება, ხედავ? კრიმინალური ავტორიტეტი გამიშიფროს რა ვინმემ, რას ნიშნავს“, — გაცხარდა მახო.

„მაიცა, მაგას მერე გაგიშიფრავენ, თუ დაჭირდებათ და... მეგონა, გიგას ამბავს მოყვებოდი“, — ჩუმად უთხრა №0578-მა.

„ჰო... გიგა... იდიოტი... მანქანას ვიპარავდით ავტოსადგომიდან და დაცვამ პატრონს დაურეკა. კაიფობ, დაცვაა და პატრონს ურეკავს. იქვე ცხოვრობდა ის უბედური, მოვიდა და იარაღი არ დააძრო? გიგამ სროლა მოასწრო, თორემ მოგვკლავდა ორივეს. სასამართლოზე სათვალთვალო კამერით გადაღებული ვიდეო მოიტანეს, მოსამართლეზე შვიდასი ათასი გვქონდა „ქეშად გამაზული“ და სამასი ათასს კიდევ ვაგროვებდით. მილიონი დაადო „სტავკა“. იმათი ოჯახის წევრები სასამართლოს არ „მაზავდნენ“ და როგორი გასაშვები იყო ეს კაცი, ხომ ხვდები. არადა, მილიონი თემაა. ისინი იქეთ პროკურორს კერავდნენ თურმე, მაქსიმუმი მიარჭვეო და ათი ათას დოლარს ჰპირდებოდნენ. საბოლოოდ, განაჩენის გამოცხადების დროს მოსამართლემ გიგა დააჯარიმა, აქაოდა გაუვარდაო და სასამართლოდან დაცვამ გაგვიყვანა, თორემ ჩაგვქოლავდნენ. მოხსნეს მერე ის მოსამართლე, გადააყოლეს ამ საქმეს, მაგრამ მილიონი ჰქონდა წაღებული, 62 წლის იყო და არ ეკიდა მოხსნა?!“ — დაასრულა მახომ.

* * *

როცა მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობის ბოლო დღეებს ითვლიდა, რამდენიმე ათეული პატიმარი შეწყალებით გავიდა. მათ შორის მოხვდა მახო ხ-ც, რომელმაც რუსულ-უკრაინული ამბავი აქაც ჩაატარა და შესაწყალებელთა სიაში მოხვედრის სანაცვლოდ 50 ათასი დოლარიც გადაუხადა. ვის და როგორ, საინტერესო აღარ არის.

ვერსიანიუსი

## ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის 56-ე შეხვედრა გაიმართა



შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი შალვა ენუქიძე და დეპარტამენტის წარმომადგენლები ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის 56-ე შეხვედრას დაესწრნენ. შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენელი.

შეხვედრაზე საუბარი ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონოდ დამონტაჟებული მავთულხლართებით გამოწვეულ ვითარებას შეეხო, რომელიც მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას. შეხვედრაზე ასევე განიხილეს 2008 წელს უგზო-უკვლოდ დაკარგული გრიგოლ ნალბანდოვის, შარშან უკანონოდ დაკავებული რომან შიტიკოვის და 2014 წელს გაუჩინარებული დავით ბაშარულის საკითხი, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ დოლიაანის მიმდებარე ტერიტორიზე გარდაცვლილი იპოვეს.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს ტირიფონის არხის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი სეგმენტის გაწმენდითი-სარეაბილიტაციო სამუშაოების აუცილებლობის შესახებ, რომელსაც დე-ფაქტო მთავრობის წარმომადგენლები უახლოეს მომავალში განახორციელებენ, რის შედეგადაც, ოკუპაციის ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას საირიგაციო წყლით თანაბრად შეეძლება სარგებლობა.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მორიგი შეხვედრა 30 ივლისს გაიმართება.

*„ვერსიანიუსი“*

## პოლიციამ აბასთუმნის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული დააკავა



აბასთუმნის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის გივი ყულჯანიშვილის დაკავებას ადიგენის საკრებულოს თავმჯდომარე, იმედა მღებრიშვილი ადასტურებს, თუმცა, იგი დეტალების შესახებ ამ ეტაპზე ვერ საუბრობს.

გავრცელებული ინფორმაციით, აბასთუმნის რწმუნებული ქრთამის აღების ფაქტზეა დაკავებული. რწმუნებულის დაკავება შინაგან საქმეთა სამინისტროშიც დაადასტურეს.

*„პირველი“*

## ერევნის პოლიცია პირობას დებს, რომ მომიტინგეების წინააღმდეგ ძალას არ გამოიყენებს




სომხეთის დედაქალაქში, მარშალ ბაგრამიანის სახელობის პროსპექტზე, სადაც რამდენიმე დღეა მოსახლეობა დენის ტარიფის გაძვირების გამო აქციებს მართავს, ღამემ მშვიდად ჩაიარა. აქციის მონაწილეები დაშლას არ აპირებენ და აცხადებენ, რომ არ დაუშვებენ, მთავრობის გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს, რომლის მიხედვითაც 1 აგვისტოდან ელექტროენერგიის ტარიფი გაიზარდება. თავის მხრივ, ერევნის პოლიციის უფროსის მოადგილე ვალერი ოსიპიანი აცხადებს, რომ პოლიცია აქციაზე შეკრებილი მოქალაქეების წინააღმდეგ და აქციის დასაშლელად არც ძალას და არც სპეცტექნიკას არ გამოიყენებს: **„პოლიცია თვლის, რომ უმჯობესია მომიტინგეებთან მოლაპარაკებები ვაწარმოოთ, ვიდრე მათ წინააღმდეგ ძალა გამოვიყენოთ. ძალის გამოყენება ზედმეტი უკმაყოფილების და ზიზღის გამოწვევას ნიშნავს“.** დედაქალაქში აგორებულ საპროტესტო ტალღას მხარდამჭერები სომხეთის სხვადასხვა ქალაქებშიც გამოუჩნდნენ. მოსახლეობამ პარალელური აქციები გამართა, თუმცა, პოლიციამ ისინი წყლის ჭავლის მეშვეობით დაშალა. დედაქალაქში დაწყებული აქციის მოთხოვნებს იზიარებს გიუმრის მერიც.

*„პირველი“*

# ემიგრანტები „ყოველთა ქართველთა კონგრესის“ ჩატარებას მიესალმებიან

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

**გასული კვირის ქადაგებისას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, უცხოეთში მყოფი ქართველების აღწერის შესახებ ისაუბრა და ყოველთა ქართველთა კონგრესის ჩატარების სურვილი გამოთქვა. ინიციატივა საქართველოს მთავრობის მეთაურმა ირაკლი ღარიბაშვილმაც მოიწონა. საინტერესოა, რას ითვალისწინებს ეს იდეა, რატომ არის მნიშვნელოვანი მისი მაინცდამაინც ახლა ჩატარება, რას ფიქრობენ ქართველი ემიგრანტები, შეძლებს თუ არა „ყოველთა ქართველთა კონგრესი“ უცხოეთში მყოფი ქართველების გაერთიანებას და სამშობლოსთან მათ დაახლოებას? პატრიარქის განცხადებით, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, კონგრესი ოქტომბერში, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე უნდა ჩატარდეს.**




**„რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა, ჩვენმა ქართველებმა არ დაკარგონ ენა, სარწმუნოება, სამშობლოს სიყვარული... ქართველობა არ დაკარგონ? თუ ქართული სული დაიკარგა იმათში, ეს ადამიანები დაკარგულია. რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველები დავუკავშიროთ სამშობლოს? ჩვენ გვაქვს სურვილი, სვეტიცხოვლობას, 14 ოქტომბერს, მოვიწვიოთ ყოველთა ქართველთა კონგრესი საქართველოში და კიდევ ერთხელ გავახსენოთ ჩვენს სისხლსა და ხორცს, რომ მათი წინაპრები აქ არიან და არ უნდა დაკარგონ კავშირი სამშობლოსთან. რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მათ არ დაივიწყონ ქართული ენა? ქართველი ადამიანი გვგონია ისეთი ძლიერი გენისა, რომ ის არ დაიკარგება, მაგრამ სჭირდება სამშობლოს დახმარება, ჩვენი შეხსენება“,** — განაცხადა უწმინდესმა. და ისიც განმარტა, რომ დასაწყისისთვის საზღვარგარეთ მყოფი ადამიანების სიების შედგენაა საჭირო. ამ პროცესში კი ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. პატრიარქმა ხაზი გაუსვა ფერეიდნელ ქართველებს და განაცხადა, რომ მათ დახმარებას სჭირდებათ: **„დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ფერეიდნელ ქართველებს, რომლებიც შაჰ-აბასის დროს წაიყვანეს აქედან. ისინი ელოდებიან ჩვენს დახმარებას. ისინი ჩვენი სისხლი და ხორცია. ყურადღება უნდა მივაქციოთ თურქეთში, ევროპაში, ამერიკაში და მთელ მსოფლიოში მცხოვრებ ქართველებს. საქართველო ელოდება თქვენს ჩამოსვლას. როგორც მშობელი დედა, ისე მიგიღებთ სამშობლოში. იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ ჩვენი ერის გაერთიანებას“.**

„ვერსია“ შეეცადა გაერკვია, როგორ გეგმავს საპატრიარქო ემიგრანტების მობილიზებას მაშინ, როდესაც საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა საკმაოდ დიდი ნაწილი არალეგალია; ასეც რომ არ იყოს, ემიგრანტების აქ ჩამოსვლა გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება. ისეთს, როგორიცაა მაგალითად, შვებულების აღება, გზის ფულის მოძიება... საპატრიარქოს პრესსამსახურში, **დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა** განგვიცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პატრიარქთან კონსულტაციები ჯერ არ ჰქონია, პირადად კი მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნება, თუ თითოეული სათვისტომო საქართველოში წარმომადგენელს გამოგზავნის და ემიგრანტების მობილიზება ამგვარად მოხდება. დეკანოზი, ამ ეტაპზე სხვა ინფორმაციას არ ფლობს: **„ამ საკითხთან დაკავშირებით პატრიარქთან საუბარი ჯერ არ მქონია. იდეა მხოლოდ დაანონსდა და დეტალები სამომავლოდ გახდება ცნობილი. ჩემი აზრით, საზღვარგარეთ მყოფი ქართველები მათ წარმომადგენლებს გამოგზავნიან. მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს საზღვარგარეთ და ყველა ვერ ჩამოვა. თუმცა ეს მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრია. ხელისუფლებასაც ძალიან მოეწონა იდეა. ალბათ შემდეგ ხელისუფლება საპატრიარქოსთან თანამშრომლობით დასახავს გარკვეულ გეგმებს“.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ინიციატივა მართლაც მოიწონა და განაცხადა, რომ მსგავსი ღონისძიება ხელს შეუწყობს ქართველი ერის გაერთიანებასა და სახელმწიფოს გაძლიერებას: **„მივესალმები საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ინიციატივას „ყოველთა ქართველთა კონგრესის“ ჩატარებასთან დაკავშირებით. ეს არის შესანიშნავი იდეა, რომლის განხორციელებაც საშუალებას მოგვცემს მთელი მსოფლიო მასშტაბით ქართველთა ყველანაირი რესურსის გაერთიანება და კონსოლიდაცია მოვახდინოთ. გამოვთქვამ სრულ მზადყოფნას, მაქსიმალურად შევუწყო ხელი კონგრესის ჩატარებას. დარწმუნებული ვარ, ასეთი კონსოლიდაცია ხელს შეუწყობს ქართველი ერის გაერთიანებას და ქართული სახელმწიფოს გაძლიერებას“.**

„ვერსია“ შეეცადა, თავად ემიგრანტებთან გაერკვია, რა გამოხმაურება მოჰყვა პატრიარქის ინიციატივას. აქვთ თუ არა კონტაქტი ადგილობრივ სათვისტომოებთან და გეგმავენ თუ არა საქართველოში ჩამოსვლას იმ შემთხვევაში, თუ ამის საჭიროება იქნება? 25 წლის **ლია მეტრეველი** 18 წელია მშობლებთან და უმცროს დასთან ერთად, ამერიკაში ცხოვრობს. მისი და ოკეანის გაღმა დაიბადა. პატრიარქის ინიციატივას დადებითად აფასებს და ამბობს, რომ ქართველების გასაერთიანებლად მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვანია, თუმცა ეჭვი ეპარება, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, საქართველოში ჩამოსვლა შეძლოს: **„ყველა იმ პროექტს მივესალმები, რომლებიც ქართველების ერთ მუჭად შეკვრას ემსახურება. ვაშინგტონში ვცხოვრობ და ყოველი თვის ბოლოს ქართულ სათვისტომოს ვხვდები. ჩემთვის ყოველთვის საინტერესოა ქართული ამბების მოსმენა. ჩამოსვლით, მგონია, ვერ ჩამოვალ, რადგანაც ვსწავლობ. ვერც ჩემი მშობლები ჩამოვლენ — მათ მკაცრი სამუშაო გრაფიკი აქვთ.**

**სამწუხაროა, რომ პირადად მე, საქართველოში სამუდამოდ ჩამოსვლას ალბათ ველარ შევძლებ, რადგან მანდ თავის რეალიზება რთულია. ჩემი მენტალიტეტიც უკვე შეცვლილია. თუ ქართველს გავყვები ცოლად, რა თქმა უნდა, ჩემი შვილი ქართულად ისაუბრებს. თუ უცხოელს გავყვები, ყველაფერს ვიღონებ, რომ ჩემს შვილს ქართული ვასწავლო. დედაც ასე მოიქცა — ამერიკაში ძალიან პატარა ჩამოვედი და ქართული დედამ მასწავლა“.**

**მაკო სამხარაძე** მესამე წელია ესპანეთში ცხოვრობს. პატრიარქის ინიციატივის შესახებ უკვე გაიგო. მისი აზრით, იდეა, უცხოეთში მყოფი ქართველების აღრიცხვისა და დახმარების შესახებ კარგია და იმედოვნებს, რომ ეს მხოლოდ ინიციატივად ან პოლიტიკურად ანგაჟირებულ განცხადებად არ დარჩება და საპატრიარქო ემიგრანტებს რეალურ დახმარებას გაუწევს: **„აქ რომ ემიგრანტი ჩამოდის, პირველ რიგში კათოლიკურ ეკლესიაში მიდის. ეკლესია ეხმარება ტანისამოსით, საკვები პროდუქტით, სამსახურით. ღიპიანი და ჯიპიანი მღვდელი მე აქ არ მინახავს. აქ ყველაფერი სხვაგვარადაა. საქართველოში სიამოვნებით დავბრუნდებოდი, მაგრამ აქ პოლიცია, საავადმყოფო, მაღაზია, ტრანსპორტი... ყველაფერი მოქალაქეების ინტერესებზეა მორგებული, მანდ კი ელემენტარულად, სამსახური ვერ ვიპოვე. იმედია, სამომავლოდ მაინც შეიცვლება ვითარება ჩვენს ქვეყანაში და იმის იმედიც მაქვს, პატრიარქის ეს ინიციატივა, მხოლოდ ინიციატივად არ დარჩება და რეალურ ნაბიჯებს გადადგამენ ემიგრანტების აღრიცხვისა თუ მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით“.**

**სოფიო ტყემალაძე** სამი წელია იტალიის ქალაქ ბარში ცხოვრობს. საქართველოში ჩამოსვლას შესაბამისი საბუთის მიღებამდე ვერ შეძლებს. პატრიარქის ინიციატივას კონგრესის ჩატარებასთან დაკავშირებით მიესალმება და ამბობს, რომ დღეს უცხოეთში მყოფმა ქართველებმა ადგილობრივი ხელისუფლებისა და ეკლესიის მხარდაჭერა აუცილებლად უნდა იგრძნონ. ტყემალაძის განმარტებით ქართველების აღრიცხვა იმითაც მნიშვნელოვანია, რომ დღეს არალეგალი ემიგრანტების სტატისტიკისა და ადგილმდებარეობის შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი: **„როგორც ვიცი, ის ქართველები, რომლებიც საზღვარგარეთ არალეგალებად ვიმყოფებით აღრიცხულები არსად არ ვართ. ალბათ მხოლოდ იმ ემიგრანტების სტატისტიკა არსებობს, რომლებიც საზღვარგარეთ ლეგალურად ცხოვრობენ. ერთი მხრივ უსაფრთხოებისთვისაც კარგი იქნება და მეორეს მხრივ, მინდა ყველამ იცოდეს, რომ მე ემიგრანტი ვარ და ნებისმიერ დროს მზად ვარ ჩემს სამშობლოში დავბრუნდე“.**

პატრიარქის ინიციატივას ქართველი ემიგრანტი **ნინო ფრუიძე** საბერძნეთიდან გამოეხმაურა, რომელმაც ზოგადად, იქაური ემიგრანტების დამოკიდებულებაც გაგვაცნო: **„ჩვენ, ქართველი ემიგრანტები ათენში, დიდი ხანია ველით ასეთ მესიჯს სამშობლოდან და ეს მონატრებული და დროული სიტყვა ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა წარმოსთქვა... ათენის ემიგრაცია მიესალმება უწმინდესის მოწოდებას.**

**მზად ვართ, სვეტიცხოვლობას ჩამოვიდეთ საქართველოში და ვისაუბროთ იმ დიდ ტკივილზე, რასაც სამშობლოს მოშორებული ქართველები განვიცდით, ჩვენზე მეტად ეს თემა არავის სტკივა. ჩვენ უზომოდ გვენატრება ჩვენი სამშობლო, და პატრიარქის დაძახილი ძალზე დროულია“.**

ვერსიანიუსი

## კავკასიელმა ისლამისტებმა „ისლამურ სახელმწიფოს“ ერთგულება შეჰფიცეს და მისი ფილიალი დააარსეს




უცხოური მედიის ინფორმაციით, რუსეთის ოთხი რეგიონის ისლამისტმა მებრძოლებმა „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს ერთგულება აღუთქვეს. სააგენტო „ფრანს პრესი“ წერს, რომ შესაბამისი ვიდეოჩანაწერი ინტერნეტსივრცეში განთავსდა. „ფრანს პრესის“ ინფორმაციით, YouTube-ზე გავრცელებული ჩანაწერის თანახმად, მებრძოლებმა დაღესტანიდან, ჩეჩნეთიდან, ინგუშეთიდან და ყაბარდო-ბალყარეთის რეგიონებიდან ერთგულება შეჰფიცეს „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერს, ხალიფა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადს.

**„ჩვენ ვადასტურებთ, რომ ყველა კავკასიელი მოჯაჰიდი ამ გადაწყვეტილებაში ერთიანი ვართ და ამ საკითხზე ჩვენს შორის რაიმე უთანხმოება არ არსებობს“,** — ნათქვამია რუსულ და არაბულენოვან აუდიოჩანაწერში.

კავკასიელი მებრძოლების ამ გადაწყვეტილებას გამოხმაურება უკვე მოყვა „ისლამურ სახელმწიფოში“ და მისი ლიდერები კავკასიელ მებრძოლებს მიესალმებიან. **„ჩვენ ვულოცავთ ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებს კავკასიაში, ვულოცავთ ხალფატთან ალიანსში შესვლას. ჩვენ ვიღებთ თქვენთან კავშირს და შეიხ აბუ მოჰამედ ალ-ყადარის კავკასიის მმართველად ვასახელებთ“,** — განაცხადა „ისლამური სახელმწიფოს“ სპიკერმა აბუ მუჰამედ ალ-ადნანიმ.

ასევე, ვრცელდება მოსაზრება, რომ ტერორისტული დაჯგუფების გავლენა იზრდება რეგიონის ახალგაზრდა ისლამისტ თაობაზე და მათ შესაძლოა, რუსეთზე თავდასხმები განახორციელონ. რადიკალთა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ სირიისა და ერაყის მნიშვნელოვანი ნაწილი 2014 წელს დაიკავა. საქართველოს გენერალური შტაბის უფროსის, ვახტანგ კაპანაძის განცხადებით, ის ფაქტი, რომ კავკასიელმა ისლამისტებმა „ისლამურ სახელმწიფოს“ ერთგულება შეჰფიცეს და კავკასიაში მისი ფილიალი დააარსეს, საფრთხეს წარმოადგენს. მისი თქმით, აღნიშნული ფაქტი გარკვეულწილად დიდ სიახლეს არ წარმოადგენდა,ვინაიდან, მანამდე, რამდენიმე ჩეჩენმა თუ დაღესტნელმა საველე მეთაურმა დააფიქსირა თავისი დაქვემდებარება „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ: **„ეს პირველი შემთხვევაა, როცა „ისლამურმა სახელმწიფომ“ კავკასიის ემირატის შესახებ განაცხადა. უდავოა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია არის საფრთხე არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ჩვენც, როგორც მთელი მსოფლიოს შემადგენელი ნაწილი, ამ ფაქტს აღვიქვამთ როგორც საფრთხეს. არსებობს შესაბამისი გათვლები და სცენარები, რომელსაც ვამუშავებთ. აღნიშნული ფაქტი უყურადღებოდ არ რჩება და კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ იმ აუცილებლობას, რომ ჩვენს პარტნიორებთან გარკვეული ახალი თანამშრომლობა უნდა განვახორციელოთ“.**

კავკასიაში „ისლამური სახელმწიფოს“ ფილიალის დაარსებას ნატო-ც ეხმაურება. ნატო-ს ევროპული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე სერ ადრიან ბრედშოუ აცხადებს: **„ამ საფრთხესთან გამკლავების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია სტრატეგიული თანამშრომლობა და სტაბილურობა. ისიც ნიშანდობლივია, რომ სხვა რეგიონალურმა კონფლიქტებმა არ უნდა გადაიტანონ ჩვენი ყურადღება ამ საკითხზე“.**

*„პირველი“*



# რატომ „უკრძალავს“ რეპროდუქტოლოგი არჩილ ხომასურიძე ქალებს ზღვაზე წასვლას

## „ექიმის სინდისი რასაც მკარნახობს, იმას გეუბნებით — ჩვენს ზღვაზე და ჩვენს აუზებში ბანაობა არ შეიძლება“

მაკა ლომაძე
555-27-95-13

**სპეციალისტების მტკიცებით, საქართველოში ქალის განვითარების დონე ნელ-ნელა მაღლდება. ამ მხრივ, ყველაზე დიდ მიღწევად აბორტზე უარის თქმაა. მიუხედავად ამისა, კიდევ მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგავართ და როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა ჰიგიენის დაცვაა. „ვერსია“ საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის პრეზიდენტს, რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, არჩილ ხომასურიძეს ესაუბრება.**

— დიდი მადლობა, რომ დაინტერესდით ამ საკითხებით. უმნიშვნელოვანესია, საზოგადოების ინფორმირება. ქალის განვითარების ყველაზე დიდი მიღწევა მაინც ისაა, რომ 1987 წლიდან, საქართველოში კონტრაცეპტივების გამოჩენის შემდეგ, აბორტის რიცხვი მკვეთრად შემცირდა. პრობლემა თითქმის აღმოფხვრილია. გასულ წლებში არაერთი ქალი ემსხვერპლა აბორტს. 1987 წელს, ყოველწლიურად რეგისტრირებული აბორტების რიცხვი 100 000 გახლდათ, რაც კატასტროფული მაჩვენებელია. უფრო დიდი უბედურებაა, რომ დაახლოებით ორჯერ მეტი არარეგისტრირებული აბორტი კეთდებოდა. დღეს აბორტის რიცხვი 10-ჯერ შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პრობლემები ჰიგიენის წესებთან დაკავშირებით (ქალისთვის ჰიგიენის დაცვა საკმაოდ რთულია, მისი ანატომიიდან გამომდინარე), ქალების უმეტესობამ შეიგნო, რომ კონტრაცეფცია აბორტის უვნებელი ალტერნატივაა. იმ ქალების 98,5%, რომლებმაც იციან, რომ აბორტი ცუდია, ხმარობს კონტრაცეპტივებს. ეს ინფორმაცია გაერო-ს მოსახლეობის ფონდის გამოკითხვის შედეგად გახდა ცნობილი. ასევე, გამოვლინდა, რომ საქართველოში, ბოლო წლებში, 60% იყენებს დამცავ საშუალებებს, ხოლო თბილისში — 65-67%. 28 წელში ასეთი ნახტომი კონტრაცეფციის მსოფლიო ისტორიაში სხვაგან არ ფიქსირდება.

— **ამბობთ, აბორტის პრობლემა თითქმის აღმოფხვრილია, მაგრამ დგას ჰიგიენის დაცვის პრობლემა. კონკრეტულად, რას გულისხმობთ?**

— არანაკლებ მნიშვნელოვანია ჰიგიენური ნორმები, რომლისთვისაც უბრალოდ, დრო არ გვეყო და გვერდზე დაგვრჩა. ხშირად ქალებმა და არც მამაკაცებმა, არ იციან სასქესო ორგანოების ჰიგიენა როგორ დაიცვან. ამას რომ თავი დავანებოთ, ბევრ აუცილებელ ინფორმაციასაც არ ფლობენ. მაგალითად, ქალები, რომლებსაც უშვილობის პრობლემა, კლიმაქტერული სინდრომი ან ციკლის მოშლა აქვთ, მეკითხებიან ზღვაზე თუ შეიძლება წავიდეთო. მათთვის კი არა, ქალის ანატომიიდან გამომდინარე, სრულიად ჯანმრთელი ქალბატონის ზღვაში და აუზში ჩასვლა არაა სასურველი. მათაც კი, ვისაც არაფერი აწუხებს, ცალსახად ვეუბნები: არ წახვიდეთ, თუნდაც იმიტომ, რომ კანალიზაცია ნაპირიდან მინიმუმ 9კმ-ზე უნდა იყოს დაცილებული. ბათუმში კი, 9 მეტრითაც არაა დაცილებული საკანალიზაციო არხი. ქალებისთვის არც ჩვენი აუზებია დამაკმაყოფილებელი. ვურჩევ ქალბატონებს, თუ მაინცდამაინც ჩვენს ზღვაზე წავლენ, წყალში არ ჩავიდნენ და ჩრდილში დაისვენონ.

— **დასასვენებლად საზღვარგარეთ, თუნდაც თურქეთში წასვლას საქართველოს ბევრი მოქალაქე ვერ ახერხებს. რა შეუძლიათ მოიმოქმედონ ქალბატონებმა პროფილაქტიკის მიზნით?**

— როგორც ექიმს, უფლება არ მაქვს არ ვთქვა — ჩვენთან, გარემო იმდენად დაბინძურებულია, არ შეიძლება ზღვაზე წასვლა, არც აუზებია სახარბიელო მდგომარეობაში. არავითარი პროფილაქტიკური სამუშაოები არ უშველის ამას ან რაიმე წამლები, ზღვიდან ჩამოსვლის შემდეგ. სხვათა შორის, ზოგადად, სამედიცინო სფეროში, პრობლემაა კომერციალიზაცია. მეტიც, — უდიდესი დანაშაულია. ჩემი ვაიკოლეგები ორსულ ქალებსაც კი უნიშნავენ უამრავ მედიკამენტს მხოლოდ იმიტომ, რომ წამალი გაყიდონ ფარმაცევტული კომპანიებიდან. ახლა ვიწყებთ მუშაობას ქალის რეპროდუქციული ფუნქციის რეაბილიტაციაზე ორსულობისა და მშობიარობის შემდეგ. რეგიონებში 2-3 მშობიარობის მერე ზოგი ქალი შეზღუდული შესაძლებლობის ხდება. ორსულობა მძიმე დატვირთვაა ქალის ორგანიზმისთვის. იმის გამო, რომ მედიცინის დონე დაბალია, ეს დატვირთვა სერიოზულ ტრავმაში გადაიზრდება ხოლმე. ორსულობა ენდოკრინულ სისტემას ტვირთავს. 9 თვე, ქალი კვებავს ნაყოფს და პარალელურად უამრავი საწუხარი აქვს: საკვები, ეკოლოგია, ჰაერი... ამ გაჭირვებულ გარემოში საკუთარი თავის გატანაა ძნელი და პარალელურად ნაყოფზე ზრუნვა, მით უმეტეს. პრობლემაა ისიც, რომ მარტოხელა დედებს ძრახავენ. არადა, ასეთ ქალებს უნდა დაეხმარო.

— **მით უმეტეს, რომ დედობა ქალის ფუნდამენტური უფლებაა...**

— რა თქმა უნდა და განა უფლებაზე მეტი არაა? ეს მისი მთავარი ფუნქციაა. ქალს, ვისაც არ ყავს ქმარი და უნდა შვილი, ორჯერ მეტად უნდა დაეხმარო. ამას წინ განსახილველად შემოგვთავაზეს პროექტი, თუ ქალი გათხოვილი არაა, სუროგაციის უფლება არ მისცეთო. დიდი ხაზი გადავუსვი. აღარც კი განვიხილე. ეს სისულელეა.

— **კონკრეტულად რა პროექტია ეს და სამთავრობო დონეზე ხომ არ განიხილება?**

— დიახ, პროექტი ჯანდაცვის სამინისტროს იურისტების მიერ მომზადდა, მაგრამ საბედნიეროდ, ჩვენი რჩევა გაითვალისწინეს და ეს პუნქტი ამოიღეს. როგორც ვიცი, ახლა კანონპროექტი პარლამენტშია განსახილველად. კარგი იქნება, სპეციალისტების რჩევებს სხვა შემთხვევებშიც თუ გაითვალისწინებენ, მით უმეტეს, ჩვენთან, სამწუხაროდ არასწორი ხედვა არსებობს. ბევრი დოგმაა, მათ შორის, ნარკომანიასთან დაკავშირებით — მისი ლეგალიზება როგორ შეიძლებაო. როგორც ექიმი, დარწმუნებული ვარ, ნარკომანიაც და პროსტიტუციაც უნდა იყო ლეგალიზებული, რათა უკეთ მოვუაროთ ამ ხალხს.

— **ისე, უქმრო ქალების კი არა, ეკლესია ზოგადად სუროგაციისა და ხელოვნური განაყოფიერების წინააღმდეგ გამოდის ხოლმე. სტიგმებს ხშირად სასულიერო პირები ხომ არ ქმნიან საზოგადოებაში და თუ გაქვთ მათთან რაიმე დონეზე საუბარი ამ თემებზე?**

— ჩემი მოღვაწეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად მიმაჩნია საქმიანი ურთიერთობა პატრიარქთან, საქართველოს მთავარ პიროვნებასთან. სამწუხაროდ, ბოლო წლებში აღარ შევხვედრივარ. ადრე კი, ყოველთვიურად მქონდა ეს პატივი, ყველა მიღწევას ვუზიარებდით. უაღრესად განათლებული, ჭკვიანი პიროვნებაა. ყველაფერს ხვდება, აანალიზებს და ცდილობს, დაიცვას ბალანსი რელიგიურ პრინციპებსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უმჯობეს საჭიროებებს შორის. მას ყველაფერს ვუყვებოდი. ნობელიანტი მეცნიერი, რობერტ ედვარდსი, რომელიც სინჯარიდან მიღებული პირველი ხელოვნური ბავშვის „ავტორია“, 1988 წელს ჩამოვიყვანე თბილისში, ჟორდანიას ინსტიტუტში და მივიყვანე ილია მეორესთან. მან უწმინდესს აუხსნა სინჯარაში განაყოფიერების არსი — იბადება დედისა და მამის გენეტიკური შვილი. პატრიარქმა სულგრძელად უთხრა: არ ვიცოდი, გაძლევთ ლოცვა-კურთხევას და შეგიძლიათ დანერგოთო. სუროგაცია კი ნაკლებადაა სამედიცინო პრობლემა — როცა ქალის საშვილოსნოს არ შეუძლია ნაყოფის ტარება, „ქირაობენ“ ჯანმრთელი ქალის საშვილოსნოს. უმეტესად, აქაც დედისა და მამის გენია შენარჩუნებული და მითია, რომ ბავშვი შეიძლება სუროგატ დედას დაემსგავსოს. ხელოვნური განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვი ჯანმრთელი იბადება, თუ რაიმე გენეტიკური დეფექტი არ აქვს მის გენეტიკურ მშობლებს. სამწუხაროდ, ზოგიერთი მღვდელი ისევე სცოდავს ხშირად, როგორც ვაიექიმები და არაფრისმაქნისი პოლიტიკოსები.

— **რამდელი წლისაა ინვიტრო განაყოფიერების გზით დაბადებული ყველაზე დიდი ბავშვი საქართველოში?**

— 15 წლის. მშვენიერი, განვითარებული ბიჭია. ასეთი ბავშვების რიცხვი უკვე 4000-ს აღწევს. მათგან 3000 ჩვენს ინსტიტუტშია „გაკეთებული“. ახლა უკვე ვცდილობთ, დედის ორგანიზმში ორზე მეტი ემბრიონი არ გადავიტანოთ. როცა დიდხანს არ ჰყავს, ერთბაშად სამი ნაყოფი მუცელში რთული შესანახია, გართულებებს აქვს ადგილი, ქალს უჭირს. ზოგჯერ, ხუთი, შვიდი ემბრიონიც გადაგვქონდა. მათგან რეკორდი ის იყო, რომ 4 ტყუპი დაიბადა.



# ნათია ფანჯიკიძე: „ძლიერი ფსიქიკა ემოციის არქონას არ ნიშნავს“

## რა არის პოსტტრავმული სტრესის დარღვევები და სჭირდებათ თუ არა სტიქიის შემდეგ თბილისელებს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსი



მაკა ლომაძე
555-27-95-13

**სტიქიამ არაერთი ადამიანი აზარალა — ზოგმა ოჯახის წევრი, ახლობელი დაკარგა; ზოგი უსახლკაროდ დარჩა. ზოგიც ცხელ წერტილში მუშაობდა, სახიფათო ვითარებაში. „ვერეს ტრაგედიამ“ მთელ თბილისს დაასვა დაღი და ყველაზე ძლიერი ფსიქიკის მქონე ადამიანებსაც კი შეუქმნა გარკვეული პრობლემები. დედაქალაქში უხვადაა ისეთიც, ვინც დღემდე შოკშია და სახლიდან გასვლის შიში აქვს. იმაზე, როგორი შეიძლება იყოს სტიქიის შემდეგ მოსახლეობის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და რა არის საჭირო ადამიანების რეაბილიტაციისთვის, „ვერსიას“ ფსიქოლოგი ნათია ფანჯიკიძე ესაუბრება.**

— **ქალბატონო ნათია, როგორი შეიძლება იყოს სტიქიის შემდეგ დაზარალებულების ფსიქოლოგიური მდგომარეობა და რა სახის დახმარება სჭირდება მათ?**

— პოსტტრავმული სტრესის აშლილობის (პსტდ) სიმპტომების არასრულყოფილი ჩამონათვალია: მოვლენასთან დაკავშირებული აკვიატებული მოგონებები; ფლეშბექები (ისე მოქცევა ან გრძნობა, თითქოს იგივე ისევ ხდება); ღამის კოშმარები; ძლიერი ფიზიკური რეაქცია მოვლენის გახსენებისას (მაგალითად: აჩქარებული გულისცემა, სწრაფი სუნთქვა, ღებინების შეგრძნება, კუნთების დაჭიმულობა, ოფლიანობა); მარტოსულობისა და ემოციური გაყინულობის გრძნობა; სიძნელეები ჩაძინების და ძილის დროს; გაღიზიანება, ბრაზი; კონცენტრაციის სიძნელე; განგაშის გრძნობა; სირცხვილი; თავის დადანაშაულება; უნდობლობის და ღალატის გრძნობა; დეპრესია და უიმედობა; სუიციდური განცდები და ფიქრები; ფიზიკური ტკივილი; ალკოჰოლის და სხვა მავნე ნივთიერებებისკენ სწრაფვა.

— **იგივე სიმპტომები, სტიქიის შემდეგ შესაძლოა მაშველებსაც გქონდეთ და მოხალისეებსაც და მათთვისაც თუა საჭირო ფსიქოლოგის კონსულტაცია, იმის გათვალისწინებით, რომ მაგალითად მაშველებს, საკმაოდ ძლიერი ნერვული სისტემა აქვთ?**

— ნერვული სისტემის სიძლიერე არ ნიშნავს ემოციის არქონას და ზეადამიანურ უნარებს. საბედნიეროდ, პოსტტრავმული სტრესული დარღვევები (პსტდ) არ ემართება ყველას. ყველაზე კოშმარული მოვლენის გადამუშავებასაც ახერხებენ ადამიანები, მაგრამ 7-8% შემთხვევაში ფსიქიკური „მომნელებელი სისტემა“ ვერ ერევა განცდილს და სწორედ მაშინაა საჭირო ფსიქოლოგთან კონსულტაცია. ეს სასურველია მაშინაც, თუ ადამიანს ეჩვენება, რომ განცდილის შემდეგ თავს ძველებურად მშვიდად ვერ გრძნობს. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ პტსდ ვლინდება დაგვიანებით, როცა მომხდარი თითქოს კარგა ხნის გადამუშავებული და ჩავლილია. ეს ეხება ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად მისი პროფესიისა. მაშველი იქნება, ჯარისკაცი თუ ჟურნალისტი. ყველაზე ძლიერი ადამიანიც კი, კონკრეტულ ვითარებაში შეიძლება ენერგეტიკულად დასუსტებული იყოს და ვერ შეძლოს იმის „გადახარშვა“, რაც სხვა დროს ნაკლებად გაუჭირდებოდა. ხშირად პტსდ ყველაზე ძლიერებს ემართებათ, რადგან სწორედ ძლიერები მიილტვიან საშიში ვითარებისკენ.

— **რა ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა ადამიანები, საკუთარი სიცოცხლის ფასად, სხვების გადარჩენას ცდილობს?**

— ეს იდეალისტური თავგადასავალია, მით უმეტეს, მაშინ, თუ მსხვერპლის გარეშე სრულდება. ადამიანი ყოველთვის ოცნებობს იყოს გმირი, რეალობაში კი ეს ცოტას გამოსდის.

— **იყო ცრუ განგაშიც... ისიც კი ითქვა, მოქალაქეებს მტაცებელი ცხოველები ეჩვენებათო. ეს ჰალუცინაციები შეიძლებოდა ყოფილიყო თ უბრალოდ, შოკური მდგომარეობა?**

— პანიკის ხელშეწყობა, ვირუსივით გადადება, მარტივად ხდება. პანიკას სახელმწიფოს მიმართ უნდობლობაც აძლიერებს. დაუმალეს ადამიანებს, რომ საშიში ცხოველები გარეთ იყვნენ, ამას არა მოჩვენებითი, არამედ რეალური მსხვერპლი დაერთო. როცა ნდობა ქრება, ადამიანის ფსიქიკა რთავს განგაშის სისტემას და ფხიზლობს, საფრთხის მოლოდინი აქვს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ უმეტესმა გამომძახებელმა დაინახა კიდეც ცხოველი, ის ხომ უძრავად არ იქნებოდა, ბევრ უბანში შეიძლებოდა გაერბინა, ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ ეს ცრუ განგაში იყო და ხალხი უსაფუძვლოდ აიტანა პანიკამ.

— **ამ ფონზე, სასურველია თუ არა მოქალაქისთვის ფსიქორეალიბიტაციის კურსის გავლა?**

— ფსიქოთერაპია ფუფუნებაა, რომელიც ისევე არავის აწყენს, როგორც სხეულის გამაჯანსაღებელი აბაზანა და მასაჟი. თუმცა ალბათ მაინც ჯობს, მაშინ დავტვირთოთ სპეციალისტები, როცა ნამდვილად გვჭირდება და მათ გარეშე პრობლემის გადალახვა ძნელი, ან შეუძლებელი ხდება.

# ინტერვიუ საქართველოს უხუცეს ნოტარიუს ქალბატონთან

## რატომ სტუმრობდა თეთრიწყაროში ნოტარიატის დამფუძნებლის ოჯახს ლავრენტი ბერია და რატომ ეძახდნენ სკოლაში მოღალატის შვილს



რუსუდან ბაკურაძე: „დღეს ნოტარიუსებს დიდი ხელშეწყობა აქვთ. დანაშაულია, რომელიმე მათგანმა ცუდად იმუშაოს“

ნინო ჯაფარიძე
571-17-00-02

**რუსუდან ბაკურაძე თეთრიწყაროს რაიონის ნოტარიატის ფუძემდებელია. საშუალო სიმაღლის ქალბატონს, ჭაღარა თმა შავი „აბადოკით“ აქვს გადაწეული. თვალები კეთილი აქვს, მაგრამ მზერა გამჭოლი. ისეთი, თითქოს გიყურებს და რენტგენზე გატარებსო. სიკეთეც უნახავს და ბოროტებაც, გვერდში დგომაც და ღალატიც და ალბათ ამის დამსახურებაა, რომ ადამიანების „ამოცნობა“ ეხერხება. განსაკუთრებული სითბოთი მიმიღო. ისეთი ბლინები დააცხო, ბებია რომ მიცხობდა ბავშვობაში. ჯერ მე გამომკითხა, ვინ ხარ, რა გვარის შვილიო, შემდეგ კი თავის შესახებ მიამბო და ისეთი დეტალები გაიხსენა, შეგრძნება მქონდა, რომელიღაც ფილმი სიუჟეტი „გაცოცხლდა“. თხრობაც ასეთი აქვს — ამბავი თითქოს „ხელშესახები“ ხდება და გგონია, მისი მონაწილე ხდები...**

— გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში დავიბადე. მამა შეძლებული გლეხი იყო, მაგრამ 1937 წელს რეპრესირებულად გამოაცხადეს, დააპატიმრეს და ერთი თვის შემდეგ დახვრიტეს. გარდაბნის მეურნეობის დირექტორმა გვიამბო, დახვრეტამდე პატიმრებს საკუთარი ხელით გაათხრევინეს ორმოები და იქ ჩაყარესო. 8 წლის ვიყავი მაშინ. სახლში ღამის სამ საათზე მოვიდნენ. დედა იწვა, მაღალი სიცხე ჰქონდა. მამა უვლიდა, ცივ ტილოებს ადებდა. დედა ამხნევებდა, თუ დაგიჭერენ, არ შეგეშინდეს, უდანაშაულო ხარ და გაგათავისუფლებენო, მაგრამ ასე არ მოხდა. დაკავებამდე 1 კვირით ადრე მამა კოლმეურნეობიდან გარიცხეს და ხალხის მტრად შერაცხეს. ვიცოდით, აუცილებლად მოაკითხავდნენ. მე და ჩემი ძმა ნიკელის საწოლებზე ვიწექით. ყველაფერი წაიღეს, რაც გაგვაჩნდა. მესამე კლასში რომ დამაჯილდოვეს, ის წიგნიც კი, მავნებლის დაწერილიაო, მითხრეს. მე და ჩემი ძმა მამას პერანგის ამარა, ფეხშიშველები მივდევდით... ეს წუთები მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება. ამ მოგონებას საფლავში წავიღებ.

— **მამის დაკავების შემდეგ თქვენი ცხოვრება როგორ წარიმართა? რეპრესირებულის ოჯახის წევრებს, ალბათ პრობლემები მუდმივად გექმნებოდათ...**

— ჩვენს ოჯახთან ურთიერთობა ყველას ეშინოდა. ვხედავდით, როგორ დადიოდნენ ქუჩაში წინსაფარაფარებული ქალები ცრემლებს იწმენდდნენ, ტიროდნენ, მაგრამ ჩვენთან მოსვლას ვერავინ ბედავდა. ერთხელაც მეზობლის ქალმა დიდ ქვაბში კორკოტი გააკეთა, ქვაბზე შოთები დააწყო, წინსაფარი გადააფარა და გვანიშნა, მოდითო. რომ დაეძახა, საშიში იყო. დედამ იტირა, ეს ქალი ჩემი მცხობელი იყო, მის ოჯახს ვინახავდი და ახლა თითონ გვეხმარებაო. ასე გვექცეოდნენ ისინი, ვინც მანამდე ჩვენთან მუშაობდა. რითაც შეეძლოთ, გვეხმარებოდნენ... დედა იშვიათი გარეგნობის ქალი იყო. სულ მანტოში და ფრანგულ ფეხსაცმელში მახსენდება. ფიზიკურად ვერ მუშაობდა. მამის დაპატიმრების მერე, საშინლად დადარდიანდა, განადგურდა. წლების განმავლობაში ველოდით მამის დაბრუნებას. მხოლოდ 1988 წელს შევიტყვეთ, რომ დაპატიმრებიდან, მალევე დაუხვრეტიათ. ადგილიც გვითხრეს, სად დამარხეს — გაჩიანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ჩემს მეგობარს უთხრა, მიწების დასახნავად ტრაქტორები გავგზავნე, მაგრამ მუშებმა მითხრეს, აქ ხელს ვერაფერს მოვკიდებთ, ცოდვილები არიან დამარხულიო. ვნახეთ ის ადგილი. თხრილი გასწორებული იყო, ვეებერთელა ბალახი ამოსულიყო... იცით, რა მახსენდება? ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი სტუმარი ლავრენტი ბერია იყო. ჩემს ბიძაშვილთან, აღმასკომის თავმჯდომარე გიორგი ოქროპირიძესთან მეგობრობდა. ის დღეც მახსოვს, ბოლოს რომ გვესტუმრნენ. დედამ გვითხრა, დიდი კაცი უნდა მოვიდეს და სუფრას არ გაეკაროთო. ჩვენი სახლის ქვემოთ, ბაღში, ტოტებდაშვებულ ნუშთან გაშალა დედამ სუფრა. იმ დღეს ბერიასთან ფოქსტროტიც იცეკვა, ქოში გასძვრა, მაგრამ არ დაიბნა, ვენახის კვალში გადაისროლა და ცეკვა ისე გააგრძელა.

— **ბერია როგორ გახსენდებათ, როგორი კაცი იყო?**

— არ ჩანდა ცუდი კაცი, თუმცა მისი კეთილგანწყობა ჩვენი ოჯახის მიმართ არ აღმოჩნდა საკმარისი, მამა და ბიძა არ დაეპატიმრებინათ. მეტიც, მოგვიანებით გავიგეთ, რომ მამას დახვრეტის ბრძანება სწორედ მან გასცა... დახვეწილად იცვამდა. სტალინის მსგავსი ქუდი ეხურა. გალიფე შარვალი და „აზიატსკები“ ეცვა. გრძელსახელოიან თეთრ პერანგზე, მთელ სიგრძეზე ღილები ჰქონდა დაკერებული. საშუალოზე მაღალი თუ არა, დაბალი ნამდვილად არ იქნებოდა. ლამაზი სახე და ვარდისფერი ლოყები ჰქონდა. ბავშვები ძალიან უყვარდა. ჩვენც ვგრძნობდით ამას და ხშირად ვეთამაშებოდით. მამის დაკავების შემდეგ გვეგონა, ბერია სიკეთეს გამოიჩენდა, მაგრამ შევცდით.

— **იურისტობა იმიტომ გადაწყვიტეთ, დაგემტკიცებინათ, რომ მამა უსამართლოდ დახვრიტეს?**

— გურჯაანში სწავლის პერიოდში ოქტომბრელთა შეკრებაზე, მოულოდნელად, ჩვენი რაზმის ხელმძღვანელი მე და ჩემს მეგობარს მოგვიახლოვდა და იყვირა — ამათი ადგილი აქ არ არის, ხალხის მტრის შვილები არიანო. შეგვხსნა ყელსახვევი და გამოგვყარა. მას შემდეგ იმ სკოლაში ფეხი აღარ მიმიდგამს. ალბათ იმიტომაც გადავწყვიტე იურისტობა, სამართალი მეპოვნა. თბილისში ჩამოსვლა პრობლემებთან იყო დაკავშირებული — გვიჭირდა, მძიმე პირობებში ვცხოვრობდით, დედა მეუბნებოდა, თბილისში ნუ წახვალ, ვერ შეგინახავო. მე ვამბობდი, განათლება აუცილებლად უნდა მივიღო-თქო და, იურიდიულზე მაინც ჩავაბარე. სწავლის დასრულების შემდეგ ყველანი იუსტიციის სამინისტროში დაგვიბარეს. მე გამორჩეული სტუდენტი ვიყავი, გამოცდებიც წარმატებით ჩავაბარე, თუმცა ჩემი ყველა მეგობარი გადაანაწილეს, ჩემი პასუხები კი არ ჩანდა. ბოლოს მოვიდა ხანშიშესული კაცი და მითხრა, შვილო, ვიცი, გონიერი გოგონა ხარ, მაგრამ გული არ დაგწყდესო. ყველა ვისი მშობელიც რეპრესირებული იყო სიის გარეთ არის დარჩენილი. ახალ სანოტარო კანტორებს ვხსნით. შუამდგომლობას გაგიწევთ და მერე შენზე იქნება ყველაფერი დამოკიდებული. თუ კარგად იმუშავებ ყველაფერი კარგად იქნებაო. თეთრწყაროში არც შტატი იყო, არც ინვენტარი და არც ოთახი. არც რაიონულ ხელმძღვანელობას და არც მოსახლეობას, წარმოდგენა არ ჰქონდა რა უნდა მეკეთებინა. მოსამართლეს დაავალეს, რამენაირად შენს შენობაში გამოუძებნე ოთახიო. არადა, ერთ ოთახში არქივი ჰქონდა, მეორეში კანცელარია, მესამეში კი აღმასრულებელი ეჯდა. მხოლოდ კორიდორი ჰქონდა თავისუფალი. ჰოდა, მეც იქ განმათავსეს. ფიცრით ამოაშენეს ადგილი, დამიდგეს ერთი ძველი მაგიდა, ორი სკამი და ხისგან გაკეთებული თაროები. კალამი და ქაღალდი მე ვიყიდე. შემდეგ მომცეს შტამპი და გამატარეს ერთთვიანი სტაჟირება.

— **იმდროინდელი ნოტარიატის შესახებ მაშინ რა იცოდით და კონკრეტულად რა ნორმებით ხელმძღვანელობდით?**

— ინსტიტუტში სამოქალაქო სამართალს კი ვსწავლობდით, მაგრამ გამოკვეთილად ნოტარიატზე არც ერთი საგანი არ გაგვივლია. მაშინდელი ნოტარიატი აბსოლუტურად განსხვავებული იყო არამარტო მატერიალური მდგომარეობით, არამედ სამართლებრივი თვალსაზრისითაც. მაშინ ჯერ მე ვსწავლობდი დებულებას, შემდგომ სხვას ვასწავლიდი. დღეს ნოტარიუსებს დიდი ხელშეწყობა აქვთ. დანაშაულია, რომელიმე მათგანმა ცუდად იმუშაოს. მე არც აღმასრულებელი მყავდა, არც დამხმარე ასლების გასაკეთებლად და არც დამლაგებელი. ყველაფერს თავად ვაკეთებდი. მოწინააღმდეგეც ბევრი მყავდა, მაგრამ პირში თქმას ვერავინ მიბედავდა. აღმასკოვის თავმჯდომარეს, პროკურორს, ან მილიციის უფროსს რომ რაიმე გაუჭირდებოდათ, ჩემთან მოდიოდნენ. გამოგიტყდებით, საკუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენაც კი მქონდა შექმნილი, რადგან ჩემზე გაცილებით მაღალი თანამდებობის პირები რჩევას მეკითხებოდნენ. ჩემი რჩევები კი ყოველთვის ამართლებდა.

— **თეთრწყაროში ნოტარიუსად რამდენი წელი იმუშავეთ? ადგილობრივები თქვენი საქმიანობით კმაყოფილები იყვნენ?**

— თეთრწყაროში 45 წელი ვიმუშავე. იქაური ნოტარიატის დამფუძნებელი ვარ. მაშინ ქალი ნოტარიუსი იშვიათობა იყო. თავიდან ეჭვის თვალითაც მიყურებდნენ, მაგრამ ბევრს ვშრომობდი. შემდეგ მანგლისის რაიონიც დამემატა. იქიდან ხალხს უჭირდა ჩამოსვლა, გზები არ იყო. თბილისში ჩამოსასვლელად ორი დღე სჭირდებოდათ. ამიტომაც შევუთანხმდი სამინისტროს აღმასკომს და გასვლითი სამუშაოები დავაწესე. ისეც ხდებოდა, იქ რამდენიმე დღეც კი ვრჩებოდი, ხალხს ვემსახურებოდი და მადლიერები იყვნენ. სამსახურში გამუდმებით რიგები მქონდა. ხშირ შემთხვევაში შესვენებაზე გასვლასაც ვერ ვახერხებდი. ჩემმა მეუღლემ იცოდა, როდის მქონდა შესვენება, ამოვიდოდა მანქანით, დამსვამდა და გააქროლებდა, თან ამბობდა, ახლა რაღას იზამენ, წინ ხომ არ გადაგიდგებიანო. რომ გარდაიცვალა, საშინელი დეპრესია მქონდა. სულ ფანჯრებისკენ ვიხედებოდი, მეგონა, აი, ახლა მოვა და წამიყვანს-თქო... არაჩვეულებრივი მეუღლე მყავდა. ჩემს სამსახურს მუდამ გაგებით ეკიდებოდა. ოჯახის, შვილების, მეუღლის, ნათესავების, მეგობრების მოყვარული, უწყინარი და უღალატო პიროვნება იყო. დღემდე მის გვარს ვატარებ, თორემ ჩემი გვარი — ანთიძე ძალიან მეამაყება. მეუღლე 1992 წელს გარდაიცვალა, გადატრიალება რომ მოხდა. ქუჩაში, მოულოდნელად წაიქცა, რუსოო, დამიძახა, თავიდან მეგონა მეხუმრებოდა, მაგრამ... მისი წასვლის შემდეგ, დიდხანს ველარ ვიმუშავე. ველარ შევძელი.

**მეუღლის გახსენებაზე ქალბატონი რუსუდანის მტკიცე და შეუპოვარი ხმაც შეიცვალა და განწყობაც... იძულებული გავხდი, საუბრის თემა შემეცვალა. თანამედროვე ახალგაზრდებზე ვილაპარაკეთ. მითხრა, მომწონს, ძალიან თამამები და გაბედულები რომ ხართ, მაგრამ არ მომწონს, რომ რიგ შემთხვევებში გადაწყვეტილებებს ძალიან მარტივად იღებთ, შედეგებზე არ ფიქრდებით, არადა ცხოვრება ხანმოკლეა და ყველა ნაბიჯი გააზრებულად უნდა გადადგათო. ზოგადად, ქართველებს, უსამართლოებად არ მიიჩნევს. ამბობს მოღალატეებიც გვყავს და ერთგულებიც, გამორჩეული ხალხი უნდა ვიპოვოთ და მაღალ თანამდებობებზე სწორედ ისინი, პროფესიონალი, სამშობლოს მოყვარული, პრინციპული და შეუვალი ადამიანები უნდა დავნიშნოთო. იმედი აქვს, სამომავლოდ ასეც მოხდება და სამართალიც იზეიმებს, აკი ამბობს კიდეც — „იქამდე მაცოცხლოს ღმერთმა, რომ ვთქვა, კაცმა სამართალი იპოვნა-თქო“...**

## ვერსიანიუსი



### ზოოპარკში გაწმენდითი სამუშაოებისას ზოლიანი აფთრის ლეში იპოვეს

თბილისის ზოოპარკის პრესსამსახურში აცხადებენ, რომ ზოოპარკიდან წყალდიდობის დროს დაკარგული ზოლებიანი აფთრი მტაცებელთა ვოლიერების მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს: **„დიახ, ვადასტურებთ, რომ ზოლებიანი აფთრის ლეში ვიპოვეთ. მტაცებელი ცხოველების ვოლიერების ტერიტორიაზე აღმოჩნდა“.**

ზოლებიან აფთარს 13 ივნისის წყალდიდობის შემდეგ ეძებდნენ. ამჟამად ერთადერთი მტაცებელი, რომელიც ჯერჯერობით ნაპოვნი არაა, ვეფხვია.

*„პირველი“*

### პრეზიდენტის ადმინისტრაცია გიორგი ქადაგიძის შემცვლელის შერჩევის მიზნით კონსულტაციებს იწყებს




ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის, გიორგი აბაშიშვილის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი ეროვნული ბანკის ახალი ხელმძღვანელის შერჩევისთვის კონსულტაციებს იწყებს.

გიორგი აბაშიშვილი პირობას დებს, რომ ეს პროცესი ღია იქნება: **„7 თვეში, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს, უფლებამოსილების ვადა ეწურება. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატს წარუდგენს. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ასევე, ქვეყანაში მონეტარული პოლიტიკის, საბანკო ზედამხედველობის სტაბილური ფუნქციონირებისა და მთლიანად პროგნოზირებადი გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, ვიწყებ გიორგი ქადაგიძის შემცვლელის შერჩევის პროცესს, რომელიც იქნება ძალიან ღია. შესაბამისად, ვიწყებ კონსულტაციებს ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დარგის ექსპერტებთან, ბიზნესასოციაციებთან, საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან, პარლამენტთან, ეკონომიკური პროფილის სამინისტროებთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან“.**

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე, გიორგი ქადაგიძეს უფლებამოსილების ვადა 2016 წლის თებერვალში ეწურება.

*„პირველი“*



1. ქვეყანა ჩრდ. და სამხ. ამერიკის შემაერთ. ყელზე
2. მდინარე შუა აზიაში
3. სამხედრო მოსამსახურის ალკაზმულობა
4. მოზაიკაში ხმარებული ფერადი ქვა
5. რადიოს იტალიელი გამომგონებელი
6. ბარსელონას საოპერო თეატრი
7. იგივეა, რაც თამბაქო
8. საქართველოს ეროვნული ვალუტა
9. ყინულის მთა ოკეანეში
10. ძალიან ჩქარი ტემპი მუსიკაში
11. ტარზანის „ლიტერატ. მამა“
12. უგონო მდგომარეობა
13. ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
14. სასწორის თეფში
15. ხის ჩასაბერი საკრავი
16. პატარა მოძრავი რადიოსადგური
17. ადამიანის სამეტყველო ორგანო
18. უპირატეს. მიცემა სუსტი მოწინააღმდეგისადმი
19. ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში
20. სპორტული გაერთიანება
21. ბალახოვანი მცენარე ყვითელი ყვავილებით
22. უცხო მხრიდან შემოტანილი მცენარე
23. ჩინური მსუბუქი იალქნიანი გემი
24. ალბანეთის დედაქალაქი
25. მდიდრული ნადიმებით განთქ. რომაელი სარდალი
26. მილა იოვოვიჩის ცნობილი კინოროლი
27. ლუდის წარმოებაში ხმარებული მცენარე
28. პარისის მიერ მოტაცებული ქალი
29. ამერიკელი კინომსახიობი
30. მე-16 საუკუნის ფრანგი ასტროლოგი
31. თვალის ფერადი გარსის ანთება
32. ალალბედზე მოქმედება
33. იგრეკის „კოლეგა“ მათემატიკაში
34. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ასული
35. აქლემის „ატრიბუტი“
36. ფიჭვის ფისიანი ანახეთქი, იწვის სანთელივით
37. ჯანმრთელობის ქალღმერთი ბერძ. მით.
38. გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ, ...
39. ხელით სატარებელი ორთვლიანი საზიდარი
40. წვეტიანი წანაზარდი მცენარის ღეროზე
41. კონსტანტინე არსაკიძის მოფერებითი სახელი
42. ვირის გასარეკი შეძახილი
43. ფოსო თვალის ქვეშ
44. იაპონიის ამჟამინდელი იმპერატორი
45. კინოფილმში ჩართული მახვილსიტყვაობა
46. ბიბლიური აბრაამის ცოლი
47. დიდი იაპონელი მხატვარი
48. ალ. გრიბოედოვის „... ჭკუისაგან“
49. გარკვეული წესით გამოზრდილი სახორცე ვარია
50. ლიხტენშტეინის დედაქალაქი
51. ხელოვ. მორწყვის ღონისძიებათა სისტემა
52. ლითონის სიფრიფანა ფურცელი
53. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო
54. ღამის ფრინველი
55. კავალერთან მოცეკვავე ქალი
56. ბასკ ტერორისტთა ორგანიზაცია
57. მტაცებელი ფრინველი
58. ხორბლეულის დიდი ტევადობის საცავი
59. უმცირესი ნატურალური ლუწი რიცხვი
60. ტბა თბილისის შემოგარენში
61. გარეული ცხოველი პატარა ხორთუმით
62. ბუდიზმის დამაარსებელი
63. მიცვალებულის დასატირებელი საგალობელი
64. მოუხარშავი ან შეუწველი
65. ჰუნების წინამძღოლი
66. მამალი კვიცი
67. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
68. მუსიკალური გამის V ნოტი
69. რაიმე საბუთის მეორე პირი
70. საკონდიტრო ნაწარმი
71. „ჯადოსნური ძაფის“ პატრონი ბერძ. მით.
72. ათენის საბეხბურთო კლუბი
73. გამოჩენილი ავსტრიელი ავტომრბოლელი
74. დიდი ვოკალურ-ინსტრუმენტ. ნაწარმოები
75. სირაქლემას მსგავსი ფრინველი სამხ. ამერ.
76. ორი წერტილი კამათელზე
77. სიმინდის ყვავილედი
78. ტბა იტალიის ალპებში
79. ნაბიჯი კლასიკურ ცეკვაში
80. მაუგლის გამზრდელი მგელი
81. ხრიკი, ფანდი
82. ერთეულთა საერთაშორისო სისტემა
83. სანელებელი მცენარე
84. შტანგის აწევის ერთ-ერთი ხერხი ძალოსნობაში
85. გაზაფხულის მეორე თვე
86. ფარნავაზის მტერი
87. მშვიდი ხმადაბალი საუბარი



# პატარძლებს საცვლების ჩაცმას ავალდებულებენ

ბრაზილიელი კანონმდებლები მეტად შეშფოთებულები არიან ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკით, რასაც აქაური საპატარძლოები მიმართავენ — ჯვრისწერისას, საქორწინო კბის ქვეშ საცვალს არ იცვამენ. ეს ფენომენი თანამედროვე ცრურწმენაა, რომლის მიხედვითაც, ამგვარად ჯვარდაწერილი ოჯახი უფრო მტკიცე იქნება. პარლამენტის დეპუტატები მოითხოვენ, არა მხოლოდ მიიღონ კანონი, რომელიც პატარძლებს აიძულებს, სადღესასწაულო დღეს ტრუსი ჩაიცვან, არამედ კაბის დეკოლტეს ჭრილზე შეზღუდვის დაწესებაც უნდათ, რათა ჯვრისწერისას მღვდლები ცდუნებაში არ ჩააგდონ. თანაც, უფლის სახლში შესვლისას ცოტა პატივისცემა და მოწიწება მაინც ხომ უნდა გამოიჩინონ, — აცხადებენ ბრაზილიელი დეპუტატები. თავად სამღვდელოების წარმომადგენლებმა კი მხარი არ დაუჭირეს კანონმდებლების ამ ინიციატივას. საინტერესოა, როგორ დაიცავენ ამ კანონს — ეკლესიის შესასვლელთან პოლიციელს დააყენებენ, რომელიც ყველა პატარძალს საქორწინო კაბის ქვეშ შეუძვრება? — აცხადებენ ისინი.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 6 | 7 | | 1 | | | |
| 5 | 4 | | | | | | | |
| | 2 | 1 | | 9 | | | | |
| 3 | | | | | 7 | | | |
| | 7 | 5 | | | | 6 | 9 | |
| | | | 8 | | | | | 1 |
| | | | | 1 | | 2 | 5 | |
| | | | | | | | 7 | 3 |
| | | | 2 | | 6 | 8 | | 4 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | | | | | 3 | | |
| | | 8 | | | | | | 4 |
| | | | 4 | | | 6 | 5 | 1 |
| | | | 6 | 7 | 1 | 9 | | |
| 9 | | | | | | | | 2 |
| | | 5 | 2 | 8 | 9 | | | |
| 8 | 7 | 3 | | | 5 | | | |
| 4 | | | | | | 5 | | |
| | | 9 | | | | | 3 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | 3 | | | | 6 | |
| | | | | | 5 | | | |
| 8 | | 3 | 6 | 7 | | | | 9 |
| 7 | | 2 | | | | | | 3 |
| | | | 4 | | 2 | | | |
| 9 | | | | | | 1 | | 4 |
| 3 | | | | 8 | 9 | 6 | | 1 |
| | | | 7 | | | | | |
| | 2 | | | | 6 | 9 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | | | 7 | | |
| | | | | 5 | | | 1 | |
| 5 | | 6 | | | 7 | | 3 | |
| | | 5 | 1 | | 4 | | | 3 |
| | 2 | 3 | | 7 | | 1 | 4 | |
| 8 | | | 5 | | 9 | 2 | | |
| | 6 | | 2 | | | 3 | | 9 |
| | 5 | | | 6 | | | | |
| | | 8 | | | | | 6 | |

# რკინიგზელებს გაღიმებას ავალდებულებენ



იაპონური სარკინიგზო კომპანიის Keihin Electric Express Railway მესვეურებმა თანამშრომლებისთვის სავალდებულო პროცედურა შემოიღეს: ყოველ დილით, სამსახურში მისულებმა, სახის ამოცნობის სისტემას უნდა გაუღიმონ, რომელიც ღიმილის ხარისხს შეაფასებს. კომპანიის ხელმძღვანელობის თქმით, მსგავსი ტესტი დაეხმარება რკინიგზელებს შრომისუნარიანობის გაუმჯობესებაში. სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა ამოწმებს ყოველი ადამიანის სახის გამომეტყველებას და მას 0-დან 100%-მდე აფასებს. თანამშრომლებს, რომელთაც კომპიუტერი არადამაკმაყოფილებლად შეაფასებს, მისდის მასტიმულირებელი მესიჯი, მაგალითად, „ძალიან სერიოზულად გამოიყურებით“, ან „ტუჩის კუთხეები აწიეთ“ (გაიღიმეთ). გარდა ამისა, თანამშრომლებს მათი გაღიმებული სახე ქაღალდზე დაბეჭდილიც გადაეცემათ, რომელიც მთელი დღე უნდა შეინახონ, რათა სულ კარგ ხასიათზე იყვნენ. ეს პროცედურა სავალდებულოა სარკინიგზო კომპანიის თანამშრომლებისთვის.

# ყველაზე კარგი ცოლები აზიელები არიან

ბოლოდროინდელი გამოკითხვების მიხედვით დადგინდა, რომ მსოფლიოში საუკეთესო მეუღლეები აზიელი ქალები არიან. ამის თაობაზე ათასობით რესპონდენტმა მამაკაცმა განაცხადა. მათი თქმით, აზიელი მანდილოსნები საკმაოდ მომხიბვლელები, მშვიდები, გაწონასწორებულები, კარგი მეოჯახენი არიან და გაცნობიერებული აქვთ, რა ფუნქცია აკისრია ოჯახში ცოლს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სუსტი სქესის აზიელი წარმომადგენლები დიდ დროს უთმობენ მეუღლისა და შვილების მოვლას, უანგაროდ ეხმარებიან ქმრის ნათესავებს. კაცების თქმით, მათი ერთ-ერთი დადებითი თვისება ისიცაა, რომ ოჯახში ფინანსური კრიზისისას სიმშვიდეს ინარჩუნებენ. გამოკითხვისას ისიც გაირკვა, რომ აზიელი ქალბატონები გულწრფელები არიან და ხშირად ქმარ-შვილის გამო, პირდ კომფორტზე უარს ამბობენ. ასევე გამოირჩევიან ერთგულებით, — აღნიშნეს რესპონდენტებმა.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 9 | 6 | 8 | 3 | 7 | 4 | 5 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 7 | 2 | 8 | 6 |
| 9 | 1 | 5 | 4 | 7 | 8 | 6 | 3 | 2 |
| 3 | 8 | 2 | 9 | 6 | 1 | 5 | 7 | 4 |
| 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 5 | 1 | 9 | 8 |
| 2 | 5 | 8 | 7 | 3 | 9 | 4 | 6 | 1 |
| 6 | 3 | 1 | 8 | 5 | 4 | 9 | 2 | 7 |
| 4 | 9 | 7 | 2 | 1 | 6 | 8 | 5 | 3 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 3 | 5 | 9 | 4 | 2 | 1 | 8 |
| 2 | 8 | 1 | 7 | 3 | 6 | 9 | 5 | 4 |
| 4 | 5 | 9 | 2 | 8 | 1 | 7 | 6 | 3 |
| 3 | 4 | 6 | 1 | 5 | 9 | 8 | 2 | 7 |
| 1 | 2 | 8 | 4 | 7 | 3 | 6 | 9 | 5 |
| 9 | 7 | 5 | 8 | 6 | 2 | 4 | 3 | 1 |
| 8 | 3 | 2 | 9 | 4 | 5 | 1 | 7 | 6 |
| 6 | 1 | 7 | 3 | 2 | 8 | 5 | 4 | 9 |
| 5 | 9 | 4 | 6 | 1 | 7 | 3 | 8 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 1 | 5 | 3 | 6 | 8 | 9 | 2 | 7 |
| 9 | 2 | 8 | 5 | 7 | 4 | 3 | 1 | 6 |
| 7 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 |
| 5 | 4 | 7 | 1 | 8 | 6 | 2 | 9 | 3 |
| 6 | 3 | 2 | 7 | 9 | 5 | 4 | 8 | 1 |
| 8 | 9 | 1 | 4 | 3 | 2 | 7 | 6 | 5 |
| 3 | 8 | 9 | 6 | 4 | 1 | 5 | 7 | 2 |
| 2 | 7 | 6 | 9 | 5 | 3 | 1 | 4 | 8 |
| 1 | 5 | 4 | 8 | 2 | 7 | 6 | 3 | 9 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 9 | 8 | 3 | 5 | 2 | 6 | 1 |
| 3 | 6 | 5 | 2 | 1 | 4 | 9 | 8 | 7 |
| 8 | 2 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 6 | 7 | 4 |
| 1 | 9 | 4 | 7 | 6 | 3 | 8 | 5 | 2 |
| 6 | 8 | 7 | 5 | 4 | 2 | 1 | 3 | 9 |
| 2 | 7 | 6 | 4 | 8 | 1 | 3 | 9 | 5 |
| 9 | 1 | 3 | 6 | 5 | 7 | 4 | 2 | 8 |
| 4 | 5 | 8 | 3 | 2 | 9 | 7 | 1 | 6 |

მე-10 გვერდი: 1. კონსილიუმი; 2. ანბანი; 3. კინშასა; 4. ნადალი; 5. იადონი; 6. ალპაკა; 7. ბოდიბილდინგი; 8. ნალი; 9. ასა; 10. გაიდაი; 11. დედანი; 12. პედალი; 13. ახო; 14. სკა; 15. კოხი; 16. ნილგაუ; 17. კუბა; 18. იასი; 19. დირე; 20. ორუელი; 21. ეტი; 22. ოლე; 23. ნაი; 24. რგოლი; 25. აიაზმა; 26. ადრიატიკა; 27. დიმირიადი; 28. ვიადუკი; 29. დროზერა; 30. მოა; 31. რინგი; 32. ავენიუ; 33. ისლი; 34. ალაო; 35. რეფრენი; 36. რაეო; 37. იაგო; 38. ოფი; 39. როკენროლი; 40. სინოპტიკა; 41. ადიულტერი; 42. სილოსი; 43. „სარკე“; 44. გაზი; 45. უზი; 46. კალე; 47. ხოტა; 48. ბაზილიო; 49. გლანდი; 50. ლიე; 51. რეი; 52. პაი; 53. სია; 54. როზგი; 55. ოპუნცია; 56. დიახ; 57. დაჰაუ; 58. არზა; 59. აცრა; 60. „ტატრა“; 61. ასკერი; 62. ნეი; 63. ლიანგი; 64. ალა; 65. ტუი; 66. ჩაი; 67. კეა; 68. „გარაჟი“; 69. მოვი; 70. უნია; 71. ჩალა; 72. პოლკა; 73. ქვა; 74. ალაჰი; 75. ალი; 76. კარუზო; 77. ფრე; 78. ქერი; 79. აგრა; 80. დრო; 81. კოლუმბი; 82. რვალი; 83. გეენა; 84. სირ; 85. რისვი; 86. ანოა; 87. იოკაი; 88. „აიდა“; 89. ონიქსი; 90. „საბა“.

მე-12 გვერდი: 1. პენიცილინი; 2. დობერმანი; 3. პორტიკი; 4. ნანიზმი; 5. ცენტნერი; 6. ლაიფციგი; 7. ომნიბუსი; 8. ესკულაპი; 9. მიაუ; 10. ნუნა; 11. პრონონსი; 12. მადაპოლამი; 13. ირემი; 14. ცინიზმი; 15. ნოკდაუნი; 16. ურო; 17. აკინაკი; 18. ასფალია; 19. უტოია; 20. საკურა; 21. ერმაკი; 22. ბალუ; 23. აკოლადა; 24. რეიდი; 25. არნო; 26. კუპრი; 27. მისია; 28. ეთერი; 29. სოპოტი; 30. ლია; 31. სიმინდი; 32. აირონსი; 33. ეპოლეტი; 34. ეიფელი; 35. ლიმა; 36. კანო; 37. რველი; 38. ლოლუა; 39. ომარ; 40. პაი; 41. კალიფსო; 42. მინდი; 43. ლეონი; 44. ნიკე; 45. აკრი; 46. ადა; 47. ნინევია; 48. ლომოური; 49. ირი; 50. ავი; 51. გავა; 52. ინა; 53. „ტიიდა“; 54. კეფირი; 55. ფარა; 56. დემნა; 57. ნიუ; 58. იდილია; 59. ია; 60. დოკი; 61. ფლორა.

# ალერგია თანამედროვე ტექნოლოგიებზე

ნისლიანი ალბიონის მცხოვრებს, 51 წლის ველმა ლირაეს თანამედროვე ტექნოლოგიებზე ალერგია განუვითარდა და ახლა ლონდონელი ქალბატონი გამოსხივებას სპეციალურ „გალიაში“ ემალება. ველმა დღეში დაახლოებით 18 საათს იზოლირებულ სივრცეში ატარებს და ძირითადად, წიგნების კითხვით ერთობა. ქალბატონს ყველაზე დიდ პრობლემას უსადენო კავშირი WiFi უქმნის — ის ვერ ლაპარაკობს მობილურზე, უარს ამბობს ტელევიზორის ყურებაზე და არც თმის საშრობითა თუ კომპიუტერით სარგებლობს. ველმას თქმით, დროის დიდ ნაწილს კითხვასა და წერილების წერაში ატარებს, ქუჩაში გასვლისას კი სპეციალურ სამოსს იცვამს, რომელიც ელექტრომაგნიტური ტალღებისგან იცავს. ველმას თანამედროვე ტექნოლოგიებზე ალერგია მაშინ დაეწყო, როცა მობილურები გაჩნდა. ტექნიკასთან მიახლოებისას მას თავის ძლიერი ტკივილი ეწყება და გონებას კარგავს.



ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

## იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი



დაცვის პოლიციის მიერ დაცული საავგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორში, საგურამოში, შინდისში, ტაბახმელაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, ქვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნატახტარში, მისაქციელში, ქობულეთში, ბულაჩაურში, არაგვისპირსა და წითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

## იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით



დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების 60 ეკიპაჟი ემსახურება.


# გართობა



1. ნარინჯისფერი ბოსტნეული
2. ქუჩის რელსიანი საზოგად. ტრანსპორტი
3. უსულო კერპი
4. ერთ-ერთი სახარების ავტორი
5. იაპონიის კუნძული
6. პროპელერიანი კაცუნა
7. მოძღვრება დაავადებათა შესახებ
8. ავსტრიის დედაქალაქი
9. იატაკის მოსაპრიალებელი საცხი
10. პარფიუმერია ძველ ქართულში
11. ეთიოპიის დედაქალაქი ...-აბება
12. ერთი ხელობის ოსტატთა გაერთიანება
13. ვოინიჩის ცნობილი რომანი
14. მწერალი ... მორჩილაძე
15. ირანული ენების შემსწავლელი მეცნიერება
16. პიჯაკის სახელობა
17. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
18. ქვეყანა ჩრდილოეთ აფრიკაში
19. სამშენებლო მასალა
20. ცხენის ზურგზე გადასაფარ. ქსოვილი
21. სამშობლოს მონატრება
22. ორადგილიანი ველოსიპედი
23. კურორტი ყირიმში
24. დროებით გაბატონებული გემოვნება
25. სოფელი სიღნაღის რაიონში
26. ბარბის ბოიფრენდი
27. ველური კომში
28. შინაური ცხოველი
29. იაპონური ავტომარკა
30. დედის სამშობლო
31. კრეტის უმაღლესი მწვერვალი
32. ამერიკელი კინომსახიობი ... ბრინერი
33. საოპერო პარტია
34. ქართული წარმართული ღვთაება
35. ინდოელი მსახიობი აიშვარია ...
36. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში
37. აზერბაიჯანის პრეზიდენტი
38. ინგლისელი ბუნებისმეტყველი
39. ხეობა კასპის რაიონში
40. მდინარე ყვარელში
41. ბოსტნეულის კერძი
42. ჩრდილ. ირმების ზოგადი სახელწოდება
43. ჩინურ-იაპონური შაში
44. აშშ-ის შტატი ...-აილენდი
45. სოფელი ქედის რაიონში
46. გამოჩენილი ჩეხი ჩოგბურთელი
47. ქართული ხალხური ჯგუფური ცეკვა
48. ზღვის პატარა ყურე
49. ცისარტყელას ქალღმერთი
50. მწერალი ედგარ ალან ...
51. აშშ-ის ტელეპრემია
52. ადამის და ევას მესამე ვაჟი
53. გაზაფხულის ყვავილი
54. სოფ. ზუგდიდთან
55. ხვადის ანტონიმი
56. სახოტბო ლექსი
57. ანჟელიკას მეუღლე ჟოფრეი დე ...
58. ოსირისის და და ცოლი
59. აზიის უგრძესი მდინარე
60. ჯონ ლენონის ქვრივი ... ონო